

მუსიკა

4





Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi *Üzeyir Hacıbəylinin,*
sözləri *Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadیرiz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hər bə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştəqdir!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

ოქტაი რაჯაბოვი, ნაზიმ ქაზიმოვი, ოფელია იმანოვა

მუსიკა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-4 კლასისათვის
«მუსიკა» საგნის
სახელმძღვანელო

დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის
განათლების სამინისტროს 04.07.2011 წლის
№1197-ე ბრძანებით.


© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო-2016

საავტორო უფლებები დაცულია. სპეციალური ნებართვის გარეშე ამ გამოცემის ან მისი
რომელიმე ნაწილის ხელახალი გამოცემა, ასლის გადაღება, ელექტრონული
საინფორმაციო საშუალებებით გავრცელება კანონით აკრძალულია.

გამომცემლობა «Təhsil Nəşriyyat-Poliqrafiya»

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება, შენიშვნები და
წინადადებები გამოგზავნოთ tahsil_az@yahoo.com და derslik@edu.gov.az ელექტრონულ
მისამართებზე. წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

ინანი




აზერბაიჯანული
ხალხური
მუსიკა



აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ჟანრები

აზერბაიჯანული ხალხური მუსიკა, რომელსაც უძველესი ისტორია აქვს, ძირითადად შედგება ოთხი ჟანრისაგან.



ნიჭიერმა აზერბაიჯანელმა ხალხმა საუკუნეთა განმავლობაში მშვენიერი სიმღერები შექმნა. მათ ქმნიდნენ ხალხური მუსიკოსები – ხანენდები, ხალხურ მუსიკალურ საკრავებზე შემსრულებლები. ეს სიმღერები სრულდებოდა სახალხო დღესასწაულებზე, ქორწილებში, ზეიმებზე, ამის გამო ისინი ზეპირად ვრცელდებოდა ხალხში. ხალხური მუსიკოსების შექმნილმა სიმღერებმა სწორედ ამ გზით მოაღწია ჩვენამდე. აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერაში «Bağçada gül» („ყვავილი ბაღში“) უმღერიან იმ ადამიანებს, რომლებიც შრომობენ ჩვენს ბარაქიან მიწაზე. სწორედ ამიტომ ეს სიმღერა შეიძლება მივაკუთვნოთ შრომის სიმღერების ჟანრს.

შევისწავლოთ სიმღერა

BAĞÇADA GÜL (ყვავილი თოვლში)

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

Şəfəq saçır gün bizə,
Bəh-bəh, nə gözəl olur!
Çıxaq tarlaya, düzə,
Bəh-bəh, nə gözəl olur!
Günəşli bu al səhər
Gəlın, duraq üz-üzə.

მისამღერი:

Bağçalar gül açır,
Bülbüllər dil açır.
Yer geyir al-əlvan
Bəh-bəh, nə gözəl!



II

Bütün ellər oyansın,
Bəh-bəh, nə gözəl olur!
Çöllər nura boyansın,
Bəh-bəh, nə gözəl olur!
«Ağ qızıl» tayaları
Buludlara dayansın.

მისამღერი:

III

Tarlalarda biz gərək,
Bəh-bəh, nə gözəl olur!
Pambıq dərək, gül dərək,
Bəh-bəh, nə gözəl olur!
Muğanın sərvətindən
Dost ellərə göndərək.

მისამღერი:

მოკუსმინოთ სიმღერას

LAYLAY (იპვნანა)

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

პირველი სიმღერა,
რომელიც ჩვენ დაბადებიდან
გვესმის, არის დედის იავნანა.
ჩვენმა დედებმა იავნანური
სიმღერები ბაიათების
საფუძველზე შექმნეს. ზოგჯერ
ერთი და იმავე ბაიათს
სხვადასხვა მელოდიით
მღეროდნენ. ყველაზე
გავრცელებული «Laylay»
სიტყვები ასე ჟღერს:

Laylay dedim, yatasan,
Qızılgülə batasan.
Qızılgülün içində,
Şirin yuxu tapasan.

ეს სიმღერა სხვადასხვა
მელოდიაზე სრულდება.



კითხვები

1. რა არის ჟანრი მუსიკაში?
2. რა ჟანრები არსებობს აზერბაიჯანულ ხალხურ მუსიკაში?
3. ვინ ქმნიდა აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერებს?
4. რა ჰქვია სიმღერას, რომელსაც დაბადების შემდეგ პირველად ვისმენთ?



მუსიკალური ლექსიკონი

იავნანა – სიმღერა, რომელსაც ჩვილს უმღერიან ძილის წინ.

ჟანრი – სხვადასხვა სტილი ნაწარმოები (სიმღერა, სიმფონია და სხვ.).

ხალხური სიმღერა – სიმღერა, რომლის შემქმნელი ხალხის წრიდან გამოსული უცნობი მუსიკოსია.



აზერბაიჯანული ხალხური სიმღერები

აზერბაიჯანული ხალხური სიმღერები შინაარსით მრავალფეროვანია, სავსეა პატრიოტიზმით, ღირებულებით, მათ უძღვნიან სახალხო გმირებს, ბუნების მშვენიერებას, მშობლიური ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებს. მათ შორის არის საბავშვო ხალხური სიმღერები: როგორიცაა („ნინი“), «Beşik başında» („აკვანთან“), «Laylay» („იავნანა“) და სხვა.

მეორე კლასში ჩვენ შევისწავლეთ ერთ-ერთი მათგანი – აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა «Tutu nənəm» („ჩემი თუთუ ბები“).



ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკა




მორწმუნე ხათუნის მავზოლეუმი

შევისწავლოთ სიმღერა

ნახჭევანი

მუსიკა მამედ ჯავადოვისა
სიტყვები ჰუსეინ აზიმისა



ილანდალი (ნახჭევანი)

I

Mən səni vəsf edim bir canan kimi,
Sarılıb boynuna mehriban kimi,
Göyündə ulduzlar sayrışan kimi.

მისამღერი:

Ey könül mülkünün varı,
Naxçıvan, a gülüm,
Ellərin sevgili yarı, Naxçıvan.

II

Qoynuna gülüzlü şux nigar gəlir,
Müjdə ver bülbülə ilk bahar gəlir,
Qızlar bulağına nazlı yar gəlir.

მისამღერი:

Ey könül mülkünün varı,
Naxçıvan, a gülüm,
Ellərin sevgili yarı, Naxçıvan.



ქალაქი ნახჭევანი დედაქალაქია ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკისა, რომელიც შუდის აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ნახჭევანში არის მინერალური წყაროები „ბადამლი“ და „სირაბი“. სიმღერა „ნახჭევანი“ შექმნილია ხალხური სიმღერების ინტონაციაზე.

შევისწავლოთ სიმღერა

PIYADA KOROĞLU (ქვეითი ქოროლი)

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

I

Uca-uca dağlar başı,
Qarlı da olur, qarsız da olur.
Cəhd elə bir işdə tanın,
Sənli də olur, sənsiz də olur.

II

Koroğlunun atı gərək,
Atlı da olur, atsız da olur.
Bir igidin zətı gərək,
Varlı da olur, varsız da olur.



აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა «Piyada Koroğlu» ნოტებზე გადაიტანა გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა, სახალხო არტისტმა თოფიკყულიევმა.

ქოროლის ნამდვილი სახელია როვშანი. მამამისი მეჯინიზე ალი ქიში მუშაობდა ჰასან ხანთან. ჰასანის ბრძანებით მას უნდა წარედგინა თურქეთის ფაშისათვის ხანის რემიდან ორი საუკეთესო ულაყი, მაგრამ ალი კიშის არჩეული ულაყები არ მოეწონა ჰასან ხანს და მისი ბრძანებით ალი ქიშის თვალები დასთხარეს. ამ დღიდან ალი კიშის ვაჟს, როვშანს, შეარქვეს ქოროლი. ასეთი უსამართლობის შემყურე როვშანმა შემოიკრიბა ჩაგრული გლეხობა და დაიწყო ბრძოლა ხანებისა და ბეგების წინააღმდეგ. სიმღერა «Piyada Koroğlu» ეძღვნება სახალხო გმირს, ქეროლის. სიმღერა სრულდება სწრაფად, მისი ზომია $\frac{3}{4}$. აშუღურ მუსიკასთან ახლო მდგომ სიმღერაში «Piyada Koroğlu» გამოიყენება ფორშლაგი, როგორც მელიზმის ერთ-ერთი სახეობა.

მელიზმები

აღმოსავლურ, მათ შორის აზერბაიჯანულ მუსიკაში, მელიზმები გამოიყენება მელოდიის გასაღამაზებლად. ძირითად ბგერამდე, მელოდიას ემატება მეორე, ნახევარი ტონით მაღალი ბგერა, ხოლო შემდეგ ლივის საშუალებით უერთდება ძირითადს.

კითხვები

1. მსგავსი შინაარსის რომელი აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა იცით?
2. ვინ არიან ავტორები აზერბაიჯანული სიმღერისა „ნახჭევანი“?
3. რაზე მღერიან სიმღერაში „ნახჭევანი“?
4. რა შინაარსისაა სიმღერა «Piyada Koroğlu» („ქვეითი ქოროლი“)?
5. ვინ გადაიტანა ნოტებზე სიმღერა «Piyada Koroğlu» („ქვეითი ქოროლი“)?



მუსიკალური ლექსიკონი

მელიზმები – მელოდიის ძირითადი ბგერის გაღამაზება დამხმარე ბგერით.

დავალება

მოამზადე გეპირი პრეზენტაცია გმირულ თემებზე შექმნილი სიმღერების შესახებ.

აზერბაიჯანული ხალხური ცეკვები



ცეკვა „კაითალი“



ცეკვა „მირზაი“



ცეკვა „თარაქამა“



ცეკვა „ჯეირანბალა“



ცეკვა „იალი“



ცეკვა „ჯანგი“

აზერბაიჯანულ ხალხურ ცეკვებს უძველესი ისტორია აქვს. მათ შორეულ წარსულში აქვთ ფესვები. ცნობები ცეკვების შესახებ გვხვდება ჩვენი ხალხის უძველეს დასთანებში „ბილგამისი“ და „დედეგორგუდი“.



აზერბაიჯანული ხალხური ცეკვების შემსრულებლები ჰაერში მოღვივებული ფრინველებს გვაგონებენ. თავიდან მღელვარე, შემდეგ კი უფრო ნატიფი და დახვეწილი ხდებიან. აზერბაიჯანული ქალისა და მამაკაცის ცეკვები განსხვავებულია. წინათ აზერბაიჯანულ ქალებს გრძელი ტანსაცმლის გამო უძნელდებოდათ ენერგიული, სწრაფი ცეკვების შესრულება.




ამიტომ ქალის ცეკვებში ძირითადი ყურადღება სხეულის ზედა ნაწილის მოძრაობებს ექცევა, მამაკაცის ცეკვებში კი ფეხების სწრაფ და მკვირცხლ მოძრაობებს.

მოვუსმინოთ მუსიკას

ცეკვა „უზუნდერეს“ მელოდია

აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა „უზუნდერე“ ეძღვნება უზუნდერეს ველს, რომელიც მდებარეობს ყარაბაღში, აღდამის რაიონში. დიდმა კომპოზიტორმა უეირ ჰაჯიბეილმა თავის ოპერეტაში „ეს თუ არა, ის“ ცეკვა „უზუნდერეს“ მელოდია უცვლელად გამოიყენა მეშადი იბადის ცნობილ სიმღერაში. ცეკვა „უზუნდერეს“ მელოდია მშვიდი ხასიათისაა, ზომა 6/8. აზერბაიჯანული ცეკვების უმრავლესობის ზომა ძირითადად 6/8-ია. ცეკვა „უზუნდერე“ და „მეშადი იბადის სიმღერა“ ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ განსხვავდება კიდეც:



გენიალური კომპოზიტორი უეირ ჰაჯიბეილი თავის შემოქმედებაში უხვად იყენებდა აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს. ოპერეტაში „მეშადი იბადი“ რუსტამ ბეგისა და მეშადი იბადის დუეტში გამოყენებულია აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა „დარჩინი“. ცეკვას აქვს ხალისიანი, ცოცხალი ხასიათი, მისი მუსიკალური ზომაა 6/8.



მუსიკალური ლექსიკონი

ოპერეტა – მუსიკალური სცენური ნაწარმოები.

დუეტი – ორი შემსრულებლის ერთობლივი შესრულება.

აკომპანემენტი – თანხმობები მუსიკა ამა თუ იმ ცეკვის ან სიმღერის.

კითხვები

1. აზერბაიჯანის რომელ რაიონში წარმოიშვა ცეკვა „უზუნდერე“?
2. რომელმა კომპოზიტორმა გამოიყენა ცეკვა „უზუნდერე“ თავის ოპერეტაში? რა ჰქვია ამ ოპერეტას?
3. რომელმა კომპოზიტორმა გამოიყენა ცეკვა „დარჩინი“ თავის ოპერეტაში? რა ჰქვია ამ ოპერეტას?
4. რა განსხვავება და მსგავსებაა აზერბაიჯანულ ხალხურ ცეკვებს „უზუნდერესა“ და „დარჩინის“ შორის?


დავალება

მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია თემაზე „ცნობილი აზერბაიჯანელი მოცეკვავეები“.



აზერბაიჯანული ხალხური ცეკვები

აზერბაიჯანული ხალხური ცეკვები დაფუძნებულია ტაქტის ზომებზე: $6/8$, $3/8$ და $2/4$. აზერბაიჯანელი კომპოზიტორები ამ ზომებში ქმნიდნენ თავიანთ სიმღერებს, განსაკუთრებით $6/8$ ზომით. ერთ-ერთ ასეთ სიმღერას წარმოადგენს კომპოზიტორ განბარ ჰუსეინლის ხალისიანი სიმღერა „სკოლაში“.



განბარ ჰუსეინლი

მსოფლიოში პოპულარული სიმღერის „ჯუჯალარიმ“ კომპოზიტორი განბარ ჰუსეინლი დაიბადა 1916 წელს აზერბაიჯანის ერთ-ერთ მშვენიერ კუთხეში, ქალაქ განჯაში. დაწყებითი მუსიკალური განათლება მშობლიურ ქალაქში მიიღო. შემდეგ სწავლა გააგრძელა ბაქოს სამუსიკო სასწავლებელში, პროფესორ ბორის ზეიდმანის კლასში. განბარ ჰუსეინლიმ მრავალი ნაწარმოები შექმნა ხალხური საკრავების ორკესტრისათვის. კომპოზიტორმა, რომელიც ბავშვებისადმი დიდი სიყვარულით გამოირჩეოდა, შექმნა ისეთი ცნობილი საბავშვო სიმღერები, როგორიცაა: „ჯუჯალარიმ“, „სპორტსმენების მარში“, „სკოლაში“ და სხვა. კომპოზიტორი გარდაიცვალა 1961 წელს.



ნარიმან ჰასანზადე

შევისწავლოთ სიმღერა

სკოლაში


მუსიკა განბარ ჰუსეინლის
სიტყვები ნარიმან ჰასანზადესი

ჩვენთან მოდი ჩქარა, გელოდებით შენ,
ზაფხულია, ვმღერით, მზე მწველ სხივებს გვფენს,
მთა-გორები გვიხმობს, წინ გვიხმობენ გზები,
მინდორ-ველებს ლამაზს მოვედებით გზნებით.

მდინარეებს, კლდეებს ჩვენ დავაჩენთ კვალს,
რა სჯობს ბანაკს ჩვენსას, გაგვახარებს კვლავ.
დავისვენებთ, ზაფხულს გავატარებთ ტკბილად,
დაგვედება რუკი, ვისეირნებთ ხშირად.

შემოდგომაც მერე ჩვენთვის დაჰკრავს ზარს,
მივუსხდებით მერხებს, სასწავლებლად მზას,
და ზამთარიც მოვა თეთრთა ფიფქთა ცვნიით,
და ამ ლამაზ ზაფხულს მოვიგონებთ ღხენით.

გუდირიჟოროთ $6/8$ ზომას:



$6/8$ ზომის ერთი ტაქტი
შეიცავს ექვს მერვედ ბგერას.



მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი აზერბაიჯანული ცეკვა ხასიათით ძალიან ჰგავს ერთმანეთს, განსხვავდება შესრულების მანერით.

ცეკვის დასახელება	ცეკვის აღწერა
„კაითალი“	მამაკაცის ენერგიული ცეკვა
„მირზაი“	ცეკვა, რომელსაც ზეიმებსა და ქორწილებში ასრულებენ მამაკაცები და ქალები ცხვირსახოცით ხელში.
„თარაქამა“	მომთაბარეთა ძველებური ცეკვა. ასრულებს მხოლოდ ერთი ქალი ან ერთი მამაკაცი, ან ერთად.
„ჯეირანბალა“	ნელი ცეკვა, რომელიც გამოსახავს ჯეირანის გრაციოზულობას, პლასტიკას. ასრულებენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები.
„იალი“	ასრულებს წრეზე მოძრავ მოცეკვავეთა ჯგუფი მათ ერთმანეთის მხრებზე აქვთ დადებული ხელი.
„ჯანგი“	მეომართა ცეკვა, ასრულებს მოცეკვავეთა ჯგუფი.

მოვესმინოთ მუსიკას

იალი

ცეკვა „იალი“ ძალიან გავრცელებულია აზერბაიჯანში. არსებობს „იალის“ რამდენიმე ვარიანტი. ამ ცეკვას ასრულებენ როგორც მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე, ან ერთად. ჩვეულებრივ, სრულდება ერთდროულად ორი ან სამი ვარიანტი.

არსებობს აგრეთვე „იალის“ ცეკვები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ხასიათით და შედგება ორი ნაწილისაგან. მოცეკვავეს, რომელიც ჯგუფს მიუძღვება ცხვირსახოცით ხელში, უწოდებენ „იალიბაშს“.



ცეკვა „იალი“

კითხვები

1. მამაკაცთა რომელი ცეკვები იცი?
2. ქალთა რომელი ცეკვები იცი?
3. რომელ ჯგუფურ ცეკვებს იცნობ?
4. მეომართა რომელი ცეკვები იცი?
5. როგორ ასრულებენ ცეკვა „იალის“?

დავალება

გამოთქვი შენი აზრი სამხედრო-პატრიოტულ ცეკვებზე.

აზერბაიჯანული აშულური მუსიკა



აზერბაიჯანული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს აშულური შემოქმედება. ჯერ კიდევ გენიალური აზერბაიჯანელი პოეტის, ნიზამი განჯელის, შემოქმედებაში გვხვდება ცნობები საზღე – აშულური შემოქმედების ეროვნულ მუსიკალურ საკრავზე:

Müğənni, sazını ələ alsana,
Xoşahəng nəğmədən bizə çalsana!
Dar pərdə dinləmək istəmirik biz,
Genişdir, yüksəkdir öz ahəngimiz.

ნიზამი განჯელი მე-12 საუკუნეში წერს საზსა და მასზე შემსრულებელზე, რაც მოწმობს, რომ საკრავი საზი არსებობდა დიდი ხნით ადრე მანამ, სანამ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ეს გენიალური პოეტი.



სიტყვა „აშული“ წარმოშობილია სიტყვისაგან „ეშლ“ – სიყვარული. შესაძლებელია, რომ იგი ნიშნავდეს ხელოვნების სიყვარულს. ძველ დროში და შუა საუკუნეებშიც ასეთ აშულებს უწოდებდნენ „ოზანს“, „ვარსაგს“, „დედეს“.

ცნობები ოზანთა შესახებ გვხვდება ძველ ხალხურ დასთანში „დედე გორგუდი“, რომელიც შედგება თორმეტი ბოისაგან (ეპოსის ნაწილები), ყოველი ბოის ბოლოს კი დედე გორგუდი მღერის და უკრავს გოპუზზე, დასთან დიდმოცვით მთავრდება.

შევისწავლოთ სიმღერა

აზერბაიჯანი

ნოტებზე გადაიტანა საიდ რუსტამოვმა
სიტყვები სამედ ვურდუნისა

Çox keçmişəm bu dağlardan,
Durnagözlü bulaqlardan,
Ayrılırmı könül candan?
Azərbaycan, Azərbaycan!

მისამღერი:


Yaşa, yaşa, Azərbaycan,
Ay anam, Azərbaycan.



El bilir ki, sən mənimdən,
Yurdum, yuvam məskənimdən.
Anam, doğma Vətənimdən,
Azərbaycan, Azərbaycan!


მისამღერი:

Dağların başı qardır,
Ağ örpəyin buludlardır.
Oğlun, qızın bəxtiyardır,
Azərbaycan, Azərbaycan!



სამედ ვურღნი

ეს სიმღერა დაწერილია სოლ მაჟორში, ზომან/8, იგი ხალისიანია, ოპტიმისტური ხასიათისა.



მოვესმინოთ მუსიკას

აშიღსაიალი

უზეირ ჰაჯიბეილიმ პირველად აზერბაიჯანული მუსიკის ისტორიაში შექმნა ნაწარმოები „აშიღსაიალი“ ტრიოსთვის, რომელიც შედგებოდა ევროპული საკრავებისაგან: ვიოლინო, ვიოლონჩელო და ფორტეპიანო. თავის ნაწარმოებში კომპოზიტორმა ოსტატურად გამოიყენა აშუღური მუსიკის რიტმები. ჩვენს ეროვნულ მუსიკაში ასევე არსებობს ტრიო, რომლის შემადგენლობაში არიან მომღერალი ხანენდე და თარსა და ქამანჩაზე შემსრულებლები.



კითხვები

1. როდის და სად შეიქმნა აშუღური მუსიკა?
2. რომელ მუსიკალურ საკრავზე უკრავენ აშუღები?
3. რა ხასიათისაა სიმღერა „აზერბაიჯანი“?
4. რა არის ტრიო?



მუსიკალური ლექსიკონი

ევროპული ტრიო –

სამი შემსრულებელი ვიოლინოზე, ვიოლონჩელოსა და ფორტეპიანოზე.

აზერბაიჯანული ტრიოს შემადგენლობაში არიან მომღერალი-ხანენდე, თარსა და ქამანჩაზე შემსრულებლები.

დავალება

მოამზადე გეპირი პრეზენტაცია აზერბაიჯანული აშუღების სამოსელის შესახებ.



აზერბაიჯანული აშულური მუსიკა



აშული ალესქერი

XVIII-XIX საუკუნეებში აზერბაიჯანში სწრაფად განვითარდა აშულური შემოქმედება. ამ პერიოდში ხალხში პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდნენ ისეთი ცნობილი აშულები, როგორებიც იყვნენ ალესქერი და მისი ვაჟი ტალიბი, მირზა ბაირამოვი, ისლამ იუსუფოვი, შამშირი, სადიგი, ამრაპი და სხვები. ეს აშულები სახალხო დღესასწაულების, ზეიმებისა და ქორწილების უცვლელი მონაწილეები იყვნენ. თავიანთი შემოქმედებით ისინი ხელს უწყობდნენ აშულური მუსიკის გავრცელებას მთელ აზერბაიჯანში, აგრეთვე საქართველოში, სომხეთში, ირანში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში. სიმღერებთან ერთად აშულები ასევე ქმნიდნენ დასთანებს. ასეთი დასთანების საფუძველზე, როგორებიცაა: „აშიგ გარიბი“, „ასლი და ქერემი“ და

სხვ, XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ეროვნული ოპერები. XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში დასთან „აშიგ გარიბის“ მოტივებზე გადაიღეს ამავე სახელწოდების ფილმი. მისი მუსიკა ეკუთვნის აზერბაიჯანელ კომპოზიტორ ჯავანშირ ყულიევს.

შევისწავლოთ სიმღერა

ლაჩინი

(აზერბაიჯანული აშულური სიმღერა)

მუსიკა აშულ ჰუსეინ სარაჯლისა
ტექსტი სამედ ვურლუნისა



აშული შამშირი

I

Namərd ilə dost olmayın, (2)
Bu dünyada, bu dünyada. (2)
Həqiqəti unutmayın, (2)
Bu dünyada, bu dünyada. (2)

II

Bağçalarda varın ola, (2)
Bağçalarda barın ola,
Alma, heyva, narın ola,
Bir vəfalı yarın ola, (2)
Bu dünyada, bu dünyada. (2)



აშუღური სიმღერა „ლაჩინი“ სრულდება ნელ ტემპში, მი მაჟორში, ტაქტის ზომა 3/4. როგორც ტექსტიდან ჩანს, სიმღერა ეძღვნება ისეთ ადამიანურ სიქველეს, როგორებიცაა: მეგობრობა, სიამაყე, პატიოსნება. აშუღური სიმღერა „ლაჩინი“ შექმნა აშუღმა ჰუსეინ სარაჯლიმ, რომელიც იყო აზერბაიჯანის ლაჩინის რაიონიდან.

მოღვაწეობის მიხედვით აშუღების შემოქმედებაში სხვადასხვა მიმართულება იყო:

1	აშუღი – მთხზველი	ლექსების, დასთანების, სიმღერების შემთხზველი, მომღერალი, საზის დამკვრელი, მოცეკვავე
2	აშუღი – შემსრულებელი	საზის დამკვრელი, მომღერალი და მოცეკვავე
3	აშუღი – პოეტი	მომღერალი და საზის დამკვრელი, ლექსების შემთხზველი

აშუღს, რომელიც ყველა ამ უნარს ფლობდა, უწოდებდნენ „უსტად-აშიღს“ – ოსტატ აშუღს.

მოვესმინოთ მუსიკას

ნაწყვეტი ყარა ყარაევის მე-3 სიმფონიიდან

დიდი აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, სახალხო არტისტი, აკადემიკოსი ყარა ყარაევი არის ავტორი ბალეტებისა „შვიდი მზეთუნახავი“, „მეხის ბილიკით“, ოპერისა „ვეთენ“ („სამშობლო“), ოპერეტისა „შმაგი გასკონელი“, სხვადასხვა ფილმისათვის შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებებისა, ნაწარმოებებისა საფორტეპიანო პიესებისა, სამი სიმფონიისა, აგრეთვე საბავშვო სიმღერებისა. მისი მე-3 სიმფონიის 1-ელ ნაწილში მან შექმნა შესანიშნავი დრამატული სახე აშუღური მუსიკის რიტმების გამოყენებით.



ყარა ყარაევი



კითხვები

1. როგორი აშუღები არსებობენ მათი მოღვაწეობის გათვალისწინებით?
2. რომელი აშუღის შესახებ იცი?
3. რომელმა კომპოზიტორმა გამოიყენა თავის სიმფონიაში აშუღური რიტმები?
4. რა შევიძლია თქვა აშუღური სიმღერა „ლაჩინის“ შესახებ?
5. რომელი ფილმისათვის დაწერა მუსიკა კომპოზიტორმა ჯავანშირ ყულიევმა?



მუსიკალური ლექსიკონი

დასთანი – ეპიკური ჟანრის შორის ყველაზე ვრცელი ნაწარმოები ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.

საზი – ძველი აზერბაიჯანული ხალხური ჩამოსაკრავი ინსტრუმენტი.

დავალება

მომზადე ზეპირი პრეზენტაცია ოსტატი-აშუღების შესახებ.

აზერბაიჯანული კლასიკური მულამი



მულამი არის იმპროვიზაციური ხასიათის მუსიკალური ჟანრი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ბევრი გზით. არსებობს ორი ტიპის მულამი: მულამური დიასგიახები (მუსიკალური მელოდიების ნაკრები) და რიტმული მულამები.

აზერბაიჯანში არსებობს 7 ძირითადი კლასიკური მულამი: „რასტი“, „შური“, „სეგიახი“, „ბაიათი-შირაზი“, „ჩახარგიახი“, „შიუშტერი“, „ჰუმაიუნი“.

მულამური დიასგიახები წარმოადგენენ მრავალრიცხოვან ვოკალურ-ინსტრუმენტულ მუსიკალურ ნაწარმოებს.

მულამი შედგება მოკლე ინსტრუმენტული შესავლის – დერამედის, კონტრასტული იმპროვიზაციური ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწილის, თესნიფის (რიტმული სიმღერები, რომელიც სრულდება მულამის შორის) და რენგისაგან (მელოდიები, რომელიც სრულდება მულამის ნაწილებს შორის).

თესნიფი – ესაა სასიმღერო ფორმის მუსიკალური ნიმუში, ხოლო რენგი – საცეკვაო ხასიათის. მულამს ასრულებენ მომღერალი-ხანენდები თარზე და ქამანჩაზე შესრულებული მუსიკის თანხლებით. მულამისათვის გამოიყენება ლირიკული ლექსები – ჰაზელეები.

მულამებს, რომლებიც სრულდება აზერბაიჯანულ ხალხურ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, უწოდებენ ინსტრუმენტალურ მულამებს.



მოვესმინოთ მუსიკას

თესნიფი „ხიჯაზი“ მულამიდან „შური“

იმპროვიზაციური ხასიათის მულამები სხვადასხვა სახელითაა ცნობილი ვრცელ ტერიტორიაზე – მდინარე ნილოსიდან (ეგვიპტე) მდინარე განგამდე (ინდოეთი).



ტაგსიმი
(ეგვიპტე)



მაკამი
(არაბეთი, თურქეთი)



დიასგიახი
(ირანი)



მულამი
(აზერბაიჯანი)



მუკამი (თურქმენეთი,
უიგურები)



მაკამი (უზბეკეთი)



რაგა (ინდოეთი)

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახალხო არტისტის რაუფ გაჯიევის სიმღერის «Azərbaycanım» („ჩემი აზერბაიჯანი“) ტექსტი ეკუთვნის პოეტ ენვერ ალიბეილის. ეს სიმღერა სრულდება სწრაფ და ხალისიან ტემპში, ზომით 2/4 და გვაცოცხლებს მარშს, შედგება ორი სტროფისა და მისამღერისაგან. სიმღერაში გამოყენებულია ნახევარი, მეოთხედი, მერვედი და მეთექვსმეტედი ბგერები. პირველ კუპლეტში პირველი და მეორე სტრიქონის მელოდია ერთნაირია, ხოლო მესამე სტრიქონში – განსხვავებული. რეპრიზის ნიშანი მისამღერში გვიჩვენებს, რომ იგი უნდა იმღერებოდეს ორჯერ. სიმღერა აწყობილია მუდამ „რასტის“ საფუძველზე მი ბემოლ მაჟორში. სიმღერის პირველი შემსრულებელი იყო მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერალი რაშიდ ბეიბუთოვი.



რაუფ გაჯიევი

შევისწვლოთ სიმღერა

ჩემი აზერბაიჯანი

მუსიკა რაუფ გაჯიევისა
სიტყვები ენვერ ალიბეილისა

მთებიც გვხიბლავენ და ბაბბის
ოკეანეც ჩანს,
ზღვაში ნავთობის კოშკები
გრძელ ქარავანს ჰგავს,
რა შეედრება ჩვენს ლამაზ
აზერბაიჯანს!

მისამღერი:
ბედნიერება, შენ ჩვენო,
მუდამ იხარე!
სხვაგან სად ვნახავთ ჩვენ ასეთ
მშვენიერ მხარეს,
აზერბაიჯანს! (2)



კითხვები

1. რა არის მუდამი?
2. რა არის დიასგიახი?
3. მუდამის რა სახეობები არსებობს?
4. რა არის ხანენდე?
5. რა არის გაზელი?
6. რა არის დერამედი?

დავალება

გამოთქვი აზრი მუდამის შესახებ.



მუსიკალური ლექსიკონი

ქამანჩა — აზერბაიჯანული ხალხური ხემიანი ოთხსიმნიანი საკრავი. შესრულებისას საკრავის ქვედა ნაწილს იდგამენ მუხლზე.

თარი — აზერბაიჯანული სიმებიანი ჩამოსაკრავი მუსიკალური საკრავი. აქვს 11 სიმი.

მუდამი — იმპროვიზაციული ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენტული ან ინსტრუმენტული ადმოსავლური მუსიკა, რომელიც შედგება კონტრასტული ნაწილებისაგან, თესნიფისა და რენგებისაგან.

თესნიფი — ერთი ზომის სიმღერა, რომელიც სრულდება დიასგიახის ნაწილებს შორის.

რენგი — საცეკვაო ხასიათის მუსიკალური ნაწყვეტი, რომელიც სრულდება მუდამის ნაწილებს შორის.



რიტმული მულამები



აზერბაიჯანში პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სახე, რომელიც ეყრდნობა ხალხური შემოქმედების ტრადიციებს, არის ვოკალურ-ინსტრუმენტული ჟანრი, სახელწოდებით „რიტმული მულამი“. მაშინ, როდესაც ძირითად კლასიკურ მულამებში დასარტყმელი ინსტრუმენტები არ გამოიყენება, რიტმული მულამების შესრულებისას აზერბაიჯანული ხალხური დასარტყმელი ინსტრუმენტები აქტიურად მონაწილეობენ. „ჭეირათი“, „სიმაი-შამსი“, „არაზბარი“, „მანი“, „ჭეიდარი“, „ოვშარი“, „ყარაბალ-შიკესტესი“, „კესმე შიქასტე“ – ხალხში ფართოდ გავრცელებული პოპულარული რიტმული მულამებია.

მოკუსმინოთ მუსიკას

ყარაბალ შიკესტესი

„ყარაბალ შიკესტესი“ შეიქმნა აზერბაიჯანის ერთ-ერთ მშვენიერ მხარეში – ყარაბალში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ყარაბალი სამშობლოა ცნობილი მომღერალ-ხანენდებისა, რომლებიც განუმეორებელი სილამაზის ძლიერ ხმას ფლობენ. მათ შორის უნდა აღინიშნოს ხან შუშინსკი, სეიდ შუშინსკი, ჯაბარ გარიგადიოღლუ და სხვ.

„ყარაბალ შიკესტესის“ შესრულება ხანენდესაგან მოითხოვს ძლიერი და მაღალი ჟღერადობის ხმას. აი, რატომაა, რომ ყველა ხანენდეს არ შეუძლია ამ რიტმული მულამის შესრულება. ის საზეიმოდ ჟღერს მაჟორში, მისი ზომია 2/4. აზერბაიჯანის სახალხო არტისტი, მსოფლიოში სახელგანთქმული კომპოზიტორი ფირანგიზ ალიზადე ოპერაში „ყარაბალნამე“ უცვლელად იყენებს „ყარაბალ შიკესტესს“.



ხან შუშინსკი



შევისწავლოთ სიმღერა

გაუმარჯოს აზერბაიჯანს!

მუსიკა ოქტავი რაჯაბოვისა
ტექსტი რაფიკ იუსიფოღლუსი

I

განუყრელნი შვილნი ვართ
ჩვენ ლამაზ სამშობლოსი,
მახვილი გვაქვს ვერაგ მტრის
დასათრგუნად ნალესი.

II

ჩვენი ხალხი მტკიცედ დგას,
ჩვენ ლამაზი ენა გვაქვს,
დიდება აზერბაიჯანს!
დიდება ჩვენს ქვეყანას!

მისამღერი:

ერთად ვდგავართ, სამშობლოს
დავთმობთ არასდროს,
რათა ჩვენმა მიწა-წყალმა
არ დაიდარდოს, არ დაიდარდოს.

პატრიოტული სიმღერა «Azərbaycan yaşayır» („გაუმარჯოს აზერბაიჯანს!“) საზეიმო ხასიათისაა, სრულდება მი მაჟორში. მაჟორული ტონალობა, ზომა 4/4 და საზეიმო ხასიათი შესაძლებლობას იძლევა, სიმღერა მარშის ტემპში აჟღერდეს. პირველი და მეორე წინადადება შედგება 4 ტაქტისა და 2 ფრაზისაგან. სიმღერის მელოდიაში გამოყენებულია მეთექვსმეტედი, მერვედი, მეოთხედი და სრული ნოტები. სიმღერის შესწავლამდე იგი მთლიანად უნდა მოისმინოთ. ამის შემდეგ რეკომენდებულია, მელოდია დავყოთ ფრაზებად, სიმღერა შევასრულოთ თავიდან ნოტებით, შემდეგ კი სიტყვებით ვიმღეროთ. სიმღერის კუპლეტები უნდა შესრულდეს მეცო-ფორტეზე (mf), ხოლო მისამღერი – ფორტეზე (f) ნიუანსებში. სიმღერა «Azərbaycan yaşayır» შედგება კუპლეტებისგან. ესე იგი, თავიდან იმღერება კუპლეთი, შემდეგ კი – მისამღერი. ბავშვებო, თქვენ უკვე იცნობთ მუსიკალური ნაწარმოების ისეთ აგებულებას, როგორიცაა, ერთწილადი, ორწილადი და სამწილადი მეტრი, რონდო და ვარიაციები. მსგავსი წყობის მუსიკალურ ნაწარმოებებს შეიძლება მივაკუთვნოთ სიმღერაც. ახლა კი ვიმღეროთ სიმღერა «Azərbaycan yaşayır» თავიდან ნოტებით, შემდეგ კი – სიტყვებით. სიმღერისას არ უნდა დაძაბოთ ხმა, ყვირილში არ გადაბარდოთ.



მუსიკალური ლექსიკონი

ხანენდე – მუსიკოსი-ვოკალისტი, მუღამებისა და რიტმული მუღამების შემსრულებელი.

რიტმული მუღამი – ინსტრუმენტულ-ვოკალური ჟანრი, რომელიც სრულდება რიტმში და ეყრდნობა ბეპირი ხალხური შემოქმედების ტრადიციებს.

კითხვები

1. რა არის რიტმული მუღამი?
2. რით განსხვავდება რიტმული მუღამი სხვა მუღამისაგან?
3. რიტმული მუღამის შემსრულებელ რომელ ხანენდეს იცნობთ?
4. სად შეიქმნა მუღამი „ყარაბაღ შიკესტესი“?
5. რით განსხვავდება ხანენდე ჩვეულებრივი მომღერლისაგან?

დავალება

მომზადე ბეპირი პრეზენტაცია მუღამის გამოჩენილ შემსრულებლებზე.



მულამის ოსტატები



სეიდ შუშინსკი



სან შუშინსკი



არიფ ბაბაევი



ნაზაქეთ თეიმუროვა

აშულები



აშული ქამანდარი



აშული ადალათი

მოცეკვავე ქალები



ამინა დილბაზი




თერანა მურადოვა

II ნაწილი



აზერბაიჯანის და მსოფლიოს ხალხთა მუსიკა






ნიაზის სიმფონიური ნაწარმოები „კაითალი“ და კავკასიური ხალხური ცეკვა „ლეზგინკა“



ცეკვა „კაითალი“



ცეკვა „ლეზგინკა“

ხალხურ ცეკვებში არეკლილია ხალხის ისტორია, მისი ეროვნული თავისებურებანი, ცხოვრების ყაიდა და ყოფა. კავკასიური ხალხური ცეკვა „ლეზგინკა“ გვიჩვენებს ხალხის უშიშრობასა და სიმამაცეს, სიჩაუქესა და შემართებას. ეს არაჩვეულებრივად მოძრავი, მკვირცხლი და ცეცხლოვანი ცეკვაა, რომელსაც ჩვეულებრივ, მამაკაცები ასრულებენ ტანგამართულად, ფართოდ გაშლილი ხელებით, თითქოს ჰაერში მონავარდე არწივიაო. არწივი ყოველთვის ითვლებოდა სიძლიერის, სიამაყის და სიმამაცის სიმბოლოდ. აზერბაიჯანში ამ ცეკვას ჰქვია „ლეზგიხენგი“. მსგავსება არის ცეკვა „ლეზგინკას“ და სიმფონიურ ნაწარმოებ „გაიტაგს“ შორის, რომელიც გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა დირიჟორმა და კომპოზიტორმა ნიაზიმ შექმნა დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის. ორივე მუსიკალური ნიმუში მსმენელში იწვევს ერთსა და იმავე გრძნობას, კარგ განწყობილებას.



ნიაზი სიმფონიურ ორკესტრთან



მოკუსმინოთ მუსიკას

„კაითალი“ სიმფონიური ორკესტრისათვის

შევისწავლოთ სიმღერა

მუსიკა ნიაზისა

QALADA YATMIŞ İDİM („მე ციხესიმაგრეში მეძინა“)

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

I

Qalada yatmış idim,
Top atdılar, oyanmadım,
Sazılən, söhbətılən oyatdılar. (2)

II

Çaldılar, oxudular,
Oynadılar, şad oldular,
Danışib, söhbəti də uzatdılar. (2)



ხალხური სიმღერა «Qalada yatmış idim», რომელიც დაფუძნებულია აზერბაიჯანულ კლასიკურ მულამზე „რასტი“, სრულდება ბგერით ინტერვალში – დო–სა და ლა–ს – შორის (ე. ი. სექსტა). ზომაა 6/8 და ჩქარი ტემპი მას საცეკვაო ხასიათს აძლევს. ამ სიმღერაში გამოყენებულია მერვედი და მეოთხედი ბგერები, მხოლოდ ერთ ადგილზეა მეთექვსმეტედი ნოტა. სიმღერა გადატანილია ნოტებზე მიმაჟორში.



მუსიკალური ლექსიკონი

„ლეზგინკა“ – ძველი კავკასიური ხალხური ცეკვა ტაქტის ზომით 2/4.

„კაითალი“ – ძველი აზერბაიჯანული ცეკვა ზომით 4/4.

კითხვები

1. რა მუსიკალური ზომა აქვს ცეკვა „ლეზგინკას“?
2. რა ეწოდება „ლეზგინკას“ აზერბაიჯანულად?
3. რომელ ხალხს მიეკუთვნება ცეკვა „კაითალი“?
4. ვინ არის ნიაზი?

დავალება

მომზადე გეპირი პრეზენტაცია მსგავსების შესახებ ცეკვა „ლეზგინკასა“ და სიმფონიურ ნაწარმოებს „კაითალის“ შორის.





აზერბაიჯანული ხალხური მუსიკა რუსი კომპოზიტორების შემოქმედებაში



მიხაილ გლინკა



რეინგოლდ გლიერი

მელოდიური და მრავალფეროვანი აზერბაიჯანული ხალხური მუსიკა ყოველთვის იწვევდა უცხოელი კომპოზიტორების ინტერესს. ჩვენი სამშობლოს ბუნების, აზერბაიჯანელი ხალხის სიმღერების, ცეკვების, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების სიმშვენიერეს აღტაცებაში მოჰყავდა ისეთი გენიალური რუსი პოეტები, როგორებიც იყვნენ: ალექსანდრ პუშკინი, მიხაილ ლერმონტოვი, სერგეი ესენინი და სხვები, რომლებმაც ეს აღტაცება გამოხატეს თავიანთ შემოქმედებაში. გამოჩენილი რუსი კომპოზიტორები მიხაილ გლინკა, მიხაილ იპოლიტოვ-ივანოვი, რეინგოლდ გლიერი თავიანთ ნაწარმოებებში იყენებდნენ აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს.



მიხაილ
იპოლიტოვ-ივანოვი

შევისწავლოთ სიმღერა

აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „ნინი“

„ნინი“ ძველი აზერბაიჯანული ხალხური სიმღერაა. იგი იავენანაა და შექმნილია მულამი „სეგახის“ მელოდიის საფუძველზე.

ნინი

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)



Könlümün bir gülüsən,
Könlümün bir gülüsən,
O gülün bülbülüsən,
Sinəmin sünbülüsən,
Səni, balam, sevərəm.

Laylay dedim, yatasan,
Qızılgülə batasan.
Qızılgülün içində,
Şirin yuxu tapasan,
Laylay, balam, a laylay!

სიმღერას აქვს მშვიდი ხასიათი, 2/4 ზომისაა. ყველა დედა უმღეროდა და უმღერის მას ჩვილს.



მოცუსმინოთ მუსიკას

მიხაილ იპოლიტოვ-ივანოვის სიმფონიური ნაწარმოების „თურქული ფრაგმენტების“, პირველი ნაწილი

მოცემული სიმფონიური ფრაგმენტები დაწერილია გასული საუკუნის დასაწყისში რუსი კომპოზიტორის მიხაილ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ და ძალიან მალე დიდი პოპულარობა მოიპოვა. ჩვენ მიერ მოსმენილ ფრაგმენტში გამოყენებულია აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „ნინი“. ეს ორი მუსიკალური ნაწარმოები შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ შემდეგნაირად:

აზერბაიჯანული ხალხური სიმღერის
„ნინის“, ხასიათი და შესრულების მანერა

სიმფონიური ნაწარმოების „თურქული ფრაგმენტების“,
ხასიათი და შესრულების მანერა

1. მელოდია მშვიდია
2. მელოდია მღერის ფორტეპიანოს თანხლებით.

აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „ნინი“ ასრულებს ქალი, ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლის ან ფორტეპიანოს თანხლებით. აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერებს „ნინის“ და „თურქული ფრაგმენტებს“ აერთიანებს ერთი და იგივე მელოდია.

1. მელოდია მარშის ხასიათისაა.
2. მელოდია სრულდება სიმფონიური ორკესტრის მიერ.

თუმცა „თურქული ფრაგმენტების“ პირველ ნაწილში გამოყენებულია აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „ნინის“ მელოდია, მოცემულ ნაწარმოებს მარშის ხასიათი აქვს და სიმფონიური ორკესტრის მიერ სრულდება, უფრო საზეიმოდ ჟღერს.



მუსიკალური ლექსიკონი

ფრაგმენტი – მუსიკალური ნაწარმოების ნაწივეტი.

„ნინი“ – აზერბაიჯანული ხალხური იავანა.



კითხვები

1. რომელმა რუსმა კომპოზიტორმა გამოიყენა თავის ნაწარმოებებში აზერბაიჯანული მუსიკა?
2. რა შეგიძლია თქვა აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „ნინის“ შესახებ?
3. რომელი აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა გამოიყენა თავის სიმფონიურ ნაწარმოებში „თურქული ფრაგმენტები“ მიხაილ იპოლიტოვ-ივანოვმა?

დავალბა

მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერაზე „ნინი“.



არაბული ხალხური მუსიკა აზერბაიჯანელი კომპოზიტორების შემოქმედებაში



ელმირა ნაბიროვა

გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა ფიქრეთამიროვმა დაცნობილმა პიანისტმა – კომპოზიტორმა ელმირა ნაბიროვამ დაწერეს „კონცერტი“ ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის, რომელშიც გამოყენებულია არაბული ხალხური სიმღერები და ცეკვები. კონცერტს უწოდებენ რთული აგებულების ერთნაწილიან მუსიკალურ ნაწარმოებს, რომელიც დაწერილია სოლო მუსიკალური ინსტრუმენტისათვის სიმფონიური მუსიკის თანხლებით. „კონცერტი“ შეიძლება აჟღერდეს სიმფონიური ორკესტრის გარდა, სხვა პროფესიული ორკესტრის, მაგალითად, აზერბაიჯანის ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრის შესრულებით.



ფიქრეთ ამიროვი

მოვსმინოთ მუსიკას

ნაწყვეტი ფ. ამიროვისა და ე. ნაბიროვას

„კონცერტიდან ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის არაბულ მოტივებზე“

„კონცერტში ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის არაბულ მოტივებზე“ ავტორებმა გამოიყენეს ძველი არაბული ხალხური სიმღერები და ცეკვები. მუსიკის მოსმენისას თქვენ თვალწინ ცოცხლდება ძველი ეგვიპტური პირამიდები, უდაბნოს ფხვიერ ქვიშაზე ტაატი მიმავალი აქლემების ქარავანი. ამ ნაწარმოების შექმნისათვის ორივე კომპოზიტორმა რამდენჯერმე იმოგზაურა ეგვიპტესა და სხვა არაბულ ქვეყნებში, რათა მოესმინათ და ნოტებზე გადაეტანათ იქაური ხალხური მუსიკა. შემდეგ ეს ნაწარმოები არაერთხელ შესრულდა ბაქოში, მოსკოვში, კაიროში, მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებსა და ამერიკაში.

სიმფონიური მუდამის ჟანრის ფუძემდებელმა ფიქრეთ ამიროვმა და კომპოზიტორმა ელმირა ნაბიროვამ ამ ნაწარმოების შექმნით დაამტკიცეს, რომ ჩვენი ხალხისა და სხვა ხალხთა მუსიკას შორის არაა გადაულახავი საზღვარი.



შეგასრულოთ სიმღერა

Bənövşə (იბ)

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

ნოტებზე გადაიტანა ფიქრათ ამიროვმა

I
Dağlara gün düşübdür, (2)
Açıl, bənövşəm, açıl.

(2)
Bağlara gün düşübdür, (2)
Açıl, bənövşəm, açıl.
(2)

II
Dağlara çökdü duman, (2)
Gizlən, bənövşəm,
gizlən. (2)



III
Dağlara əsdi külək,
(2)


Dikəl, bənövşəm, dikəl. (2)
Bağlara əsdi külək,
(2)

Dikəl, bənövşəm, dikəl. (2)


IV
Dağlara qar yağıbdir,
(2)

Yığıl, bənövşəm, yığıl. (2)
Bağlara qar yağıbdir,
(2)

ბგერათრიგი სიმღერისა «Bənövşə»:



ბგერათრიგი გამისა სოლ მინორი:



← I ტეტრაქორდი →

← II ტეტრაქორდი →

როგორც ვხედავთ, სიმღერა «Bənövşə»-ის ბგერათრიგის 4 ნოტი შეესაბამება სოლ მინორის პირველ 4 ბგერას. გამის პირველ 4 ბგერას უწოდებენ I ტეტრაქორდს, მეორე 4 ბგერას – II ტეტრაქორდს.



მუსიკალური ლექსიკონი

კონცერტი – რთული აგებულების მუსიკალური ნაწარმოები, დაწერილი სოლო ინსტრუმენტისათვის ორკესტრის თანხლებით.

ტეტრაქორდი – გამის პირველი და მეორე ოთხი ბგერა.

კითხვები

1. ვინ არიან ავტორები „კონცერტისა არაბულ მოტივებზე“?
2. რომელი ხალხის მუსიკაა გამოყენებული ფიქრეთ ამიროვისა და ელმირა ნაზიროვის „კონცერტში“?
3. გამის რომელ ბგერებს ეწოდება I ტეტრაქორდი და რომელს – II ტეტრაქორდი?
4. რამდენი ბგერისაგან შედგება ტეტრაქორდი?

დავალება

მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია ფიქრეთ ამიროვზე.



შუა აზიის უდაბნოების ასახვა აზერბაიჯანელი კომპოზიტორების შემოქმედებაში



სოლთან
ჰაჯიბეკოვი

სხვა ქვეყნების კომპოზიტორების მსგავსად, რომლებმაც თავიანთ შემოქმედებაში გამოიყენეს აზერბაიჯანული ხალხური მუსიკა, აზერბაიჯანელ კომპოზიტორთა შემოქმედებაშიც აისახა სხვა ხალხების ყოფა-ცხოვრების, მათთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამომხატველი მუსიკა.

ერთ-ერთი მათგანია გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, სახალხო არტისტი სოლთან ჰაჯიბეკოვი.

მოგუსმინოთ მუსიკას

სიმფონიური სურათი „ქარავანი“

1940-იან წლებში სოლთან ჰაჯიბეკოვმა მიიღო დაკვეთა თურქმენეთის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისაგან ოპერაზე „კემინე და ყაზი“. კომპოზიტორმა დაიწყო მუშაობა მასზე, მაგრამ დასრულება ვერ მოახერხა.

ერთ-ერთი მუსიკალური ფრაგმენტი, რომელიც ამ ოპერისათვის დაწერა, იყო მუსიკა სახელწოდებით „ქარავანი“, შუა აზიის უდაბნოების ამსახველი. ამ მუსიკის საფუძველზე 1945 წელს ს. ჰაჯიბეკოვმა შექმნა სიმფონიური სურათი „ქარავანი“, ხოლო 1952 წელს მუშაობდა მის მეორე რედაქციაზე. ამ სიმფონიურ ნაწარმოებში, რომელიც პროგრამულ მუსიკად ითვლება, ცოცხლდება უსასრულო უდაბნოს სურათები და იქ მიმავალი აქლემების ქარავანი, რომელიც თანდათან უჩინარდება შორეთში.

კომპოზიტორმა დასარტყმელი, ჩასაბერი და სიმებიანი ინსტრუმენტების გამოყენებით შეძლო მუსიკალური გამომსახველობითი საშუალებებით დიდი ოსტატობით აესახა უდაბნოში თანაბარი სვლით მიმავალი ქარავანი.

კომპოზიტორმა გამოიყენა მულამ „ხიჯაზის“ ინტონაციები, რომელიც სრულდება ფლეიტით მაღალ რეგისტრში. რიტმი, რომელიც მოგვაგონებს ქარავანის სვლას, კიდევ უფრო ზრდის ამ ნაწარმოების გამომსახველობას.



შევისწავლოთ სიმღერა

ՏԺԲԵԳ SÖKÜLƏRKƏN (ბანთიადისას)

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

ნოტებზე გადაიტანა უზეირ ჰაჯიბეილიმ.

სოლო: Şəfəq sökülərkən xoruzlar banlar,
Sis-dumanlı dərə, bayır, ormanlar.
Sürüsünü yayar dağa çobanlar,
Təbiətin zövqünü onlar anlar.

მისამღერი:

გუნდი: Bu yerlərin aslanıdır çobanlar,
Həm izzəti, həm şanıdır çobanlar.

სოლო: Gözəl olur bu yerlərin səhəri,
Dağ başından doğar altunsaç pəri.
Çəmənlərin qırmızıdon dilbəri,
Şəfəqilə boyar, bəzər hər yeri.

მისამღერი:

გუნდი:



ხალხური სიმღერა «Şəfəq sökülərkən» საზეიმო ხასიათისაა, სრულდება მარშის ტემპით, ტაქტის ზომა 2/4, დაფუძნებულია კლასიკურ აზერბაიჯანულ მულამზე „რასტი“, რომელიც ეძღვნება მწყემსების შრომას.

სიმღერა შედგება კუპლეტებისა და მისამღერისაგან. კუპლეტს ასრულებს სოლისტი, ხოლო მისამღერს – გუნდი. ეს სიმღერა ნოტებზე გადაიტანა გენიალურმა კომპოზიტორმა უზეირ ჰაჯიბეილიმ, რომელმაც ამ მელოდიაზე დაწერა საფორტეპიანო აკომპანემენტი.

ამ სიმღერის გარდა, უზეირ ჰაჯიბეილიმ ნოტებზე გადაიტანა ჩვენი ხალხური სიმღერები: „ნინი“ «Beşik başında» („აკვანთან“), «Tutu nənəm» („ჩემი თუთუ ბები“), «İş başına» („სამუშაოზე“), «Səhər-səhər yaz çağı» („გაზაფხულის დილით“), «Zəhmətin işiği» („შრომის ნათელი“) და სხვ. უზეირ ჰაჯიბეილი ასევე ფართოდ იყენებდა ხალხურ სიმღერებს თავის ოპერეტებში, ოპერებში, ნაწარმოებებში სიმფონიური ორკესტრისა და ფორტეპიანოსათვის. ოპერეტებში „ეს თუ არა, ის“ კომპოზიტორმა დიდი ოსტატობით გამოიყენა აზერბაიჯანული ხალხური ცეკვები „უზუნდერე“ და „დარჩინი“, ხოლო ოპერაში „ლეილი და მეჯნუნი“ – კლასიკური აზერბაიჯანული მულამები.

კითხვები

1. ვინ არის სიმფონიურ სურათ „ქარავანის“ ავტორი?
2. რა შევიძლიათ თქვათ სიმფონიურ სურათზე „ქარავანი“?
3. შეიძლება თუ არა, სიმფონიური სურათი „ქარავანი“ მივაკუთვნოთ პროგრამულ მუსიკას?
4. ვინ გადაიტანა ნოტებზე აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა «Şəfəq sökülərkən» („განთიადისას“)?



მუსიკალური ლექსიკონი

სიმფონიური სურათი –
გამომსახველობითი მუსიკალური
ნაწარმოები, რომელიც დაწერილია
სიმფონიური ორკესტრისათვის.
მაესტრო – საზეიმოდ.

დავალება

მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია
სიმფონიურ სურათზე „ქარავანი“.

აზერბაიჯანელი კომპოზიტორი და ჩინური კილო (პენტატონიკა)


დიდმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა, სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა ყარა აბულფას ოღლუ ყარაევმა შექმნა შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებშიც აზერბაიჯანულ ხალხურ მუსიკასთან ერთად გამოყენებულია მსოფლიოს ხალხთა ხალხური მუსიკის ნიმუშები. ასე, მაგალითად, მუსიკაში კინოფილმისათვის „დონ კიხოტი“, რომელიც გადაღებულია ცნობილი ესპანელი მწერლის, მიგელ დე სერვანტესის, იმავე სახელწოდების რომანის მიხედვით, კომპოზიტორმა




ოსტატურად გამოიყენა ესპანური მუსიკის ინტონაციები, ხოლო ბალეტში „მეხის ბილიკით“ მან მიმართა აფრიკულ კონტინენტზე გავრცელებულ ზანგურ მუსიკას. თავის პირველ ბალეტში „შვიდი მზეთუნახავი“ კომპოზიტორმა შექმნა შვიდი ხალხის მზეთუნახავთა პორტრეტები, რისთვისაც გამოიყენა ამ ხალხების ხალხური მუსიკალური ინტონაციები. ერთ-ერთი მათგანია „ჩინელი მზეთუნახავის“ პორტრეტი. მისთვის ყარა ყარაევმა გამოიყენა ბგერათრიგი „ჩინური კილო“. მაჟორულ კილოში „ჩინური კილო“ ჩასმულია შემდეგი სახით:

მუსიკალური განათლება (მუსიკის თეორიის პირველდაწყებითი ცნობები)

ჩინური კილო (მაჟორული)



შევადართ იგი მაჟორულ კილოს:



ყარა ყარაევი

როგორც ვხედავთ, მაჟორულ კილოს თუ მოვაცილებთ: IV და VII ბგერებს, მივიღებთ „ჩინურ კილოს“, რომელიც შედგება 5 ბგერისაგან.

სიტყვა „პენტატონიკა“ შედგენილია სიტყვებისაგან: „პენტა“ – ხუთი და „ტონ“ – ბგერა. აღმოსავლეთ-აზიური ქვეყნების მუსიკა (ჩინეთი, იაპონია, ვიეტნამი, კორეა და სხვ), ეფუძნება სწორედ „ჩინურ კილოს“.

მოვესმინოთ მუსიკას

„ჩინელი მზეთუნახავის ცეკვა“ ყარა ყარაევის ბალეტიდან „შვიდი მზეთუნახავი“

შევისწავლოთ სიმღერა

მოსწავლეების სიმღერა მშვიდობაზე

I

ჩვენ აქ ვიშვით, ჩვენ აქ ვხარობთ,
ჩვენ ღამაში მხარე გვაქვს,
ჩვენ ყოველთვის გვსურს მშვიდობა
და მსოფლიოს გაწვდნით ხმას.

მუსიკა ყარა ყარაევისა
ტექსტი ზეინალ ჯაბარზადესი

მისამღერი:

ჩვენ მშვიდობას გულით ვუმღეროთ,
ეს სიმღერა ყველგან ქუხს,
გადალახავს ყველა საზღვარს,
აუთრთოლებს ყველას გულს.

II

ჩვენს სამშობლოს სურს მშვიდობა
და სამყაროც გვიცქერს ჩვენ,
ვინც ომს იწყებს, ის მარცხდება,
ხალხის რისხვა პასუხს სცემს.

მისამღერი:

სიმღერა სრულდება ლა მაჟორში, მუდამ „რასტის“ ინტონაციებით, 2/4 ზომაში, მარშის ტემპში.



კითხვები

1. რომელი ქვეყნების მუსიკალური ინტონაციები გამოიყენა თავის ნაწარმოებებში ყარა ყარაემა?
2. ყარა ყარაევის რომელი მუსიკალური ნაწარმოები იცით?
3. როგორი წყობა აქვს „ჩინურ კილოს“ მაჟორსა და მინორში?
4. რა არის პენტატონიკა?
5. რა შეგიძლიათ თქვათ სიმღერის შესახებ – „მოსწავლეების სიმღერა მშვიდობაზე“?



მუსიკალური ლექსიკონი

ჩინური კილო (პენტატონიკა) – ხუთი ბგერისაგან შემდგარი კილო
ჩინური კილო (მაჟორი) – მაჟორში IV და VII ბგერები არ მონაწილეობენ
ჩინური კილო (მინორი) – მინორში II და VI ბგერები არ მონაწილეობენ
ლა მაჟორი – სამდიეზიანი გამა.

დავალება

იპოვე მსგავსება და განსხვავება მაჟორს, მინორს და ჩინურ კილოს შორის.



მუსიკალური ზომა 6/8 და აღმოსავლური მუსიკა

აზერბაიჯანული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების უმრავლესობას აქვს 6/8 ზომა, ე. ი. ერთ ტაქტში შედის ექვსი მერვედი ნოტი. ასეთი რიტმები, რომელიც ფართოდაა გავრცელებული აზერბაიჯანულ ხალხურ მუსიკაში, აისახა უზბეკურ, ტაჯიკურ, თურქმენულ მუსიკაშიც. აზერბაიჯანული „იალის“ მსგავსი ცეკვები, რომლებიც სრულდება სხვა ზომით (2/4), შეიძლება შეგვხვდეს უზბეკურ ხალხურ საცეკვაო მუსიკაში. ასე, მაგალითად, უზბეკეთში არსებობს ცეკვა „იალა“, რომელსაც ასრულებს მოცეკვავეთა ჯგუფი. ის შესრულების მანერით ახლოსაა ჩვენს „იალასთან“.

შევისწავლოთ სიმღერა

ახალი წელი

მუსიკა მუსა მირზოევისა
ტექსტი ჰიქმეთ ზიასი

ცვივა თეთრი ფიფქები,
თოვლი ფარავს ყველაფერს,
შემოდგომის დოვლათით
ვხვდებით ახალ წელს!
ვხვდებით ახალ წელს!
საჩუქრებით სავსეს,
ვხვდებით ახალ წელს!

გვაქვს ლამაზი ნაძვის ხე,
მოციმციმე, მორთული,
სიხარულით სავსენი
ვხვდებით ახალ წელს!

ვხვდებით ახალ წელს!
იზეიმეთ ყველამ,
ვხვდებით ახალ წელს!

ბოლო დღეა დეკემბრის,
მალე დაჰყრავს თორმეტიც,
მოვა წელიც ახალი.
ვხვდებით ახალ წელს!
ვხვდებით ახალ წელს!
რა ლამაზად ბარდნის!
ვხვდებით ახალ წელს!



მოვუსმინოთ სიმღერას

BİR QUŞ DÜŞDÜ HAVADAN (ჩიტი ჩამოფრინდა)

დამუშავებული უზეირ ჰაჯიბეილის მიერ

Bir quş düşdü havadan,
Qondu sinəmin üstə.
Verdi salam anadan,
Ağzında kağız üstə.

Dedim, quşum, di uç get,
Məndən ona salam et.
Oynamığa yoxdur vaxt,
Dərslərimdir çox-çox sərt.

მუსიკა და ტექსტი სიმღერისა «Bir quş düşdü havadan» დაწერილია უზეირ ჰაჯიბეილის მიერ გასული საუკუნის 20-იან წლებში. როგორც ვხედავთ, გენიალური კომპოზიტორი წერდა არა მხოლოდ ოპერეტებს, ოპერებს, სიმფონიურ ნაწარმოებებსა და რომანსებს, არამედ საბავშვო სიმღერებსაც.

კომპოზიტორის სიმღერა «Yetim quzu» („ობოლი ბატკანი“) დაწერილია 6/8 ზომაში და ხალისიანი საცეკვაო ხასიათისაა.



III ნაწილი



მსოფლიოს ქვეყნების
მუსიკალურ მელოდიათა შორის
არ არსებობს
გადაულახავი საზღვარი



იოჰან სებასტიან ბახი და აზერბაიჯანული მულამი „ბაიათი-შირაზი“

გენიალურმა გერმანელმა კომპოზიტორმა იოჰან სებასტიან ბახმა, რომელიც ოსტატურად იყენებდა მთელი რიგი ხალხების მუსიკალურ ინტონაციებს, შექმნა ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები. ერთ-ერთ ასეთ ნაწარმოებს წარმოადგენს „ტოკატა და ფუგა“ რე მინორი, რომელიც დაწერილია მუსიკალური ინსტრუმენტის – ორგანოსათვის.

ტოკატა – იტალიური სიტყვაა, ნიშნავს „შეხებას“, „მიკარებას“. ეს მუსიკალური ჟანრი დიდ საშემსრულებლო ოსტატობას მოითხოვს.

ფუგა – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „გაქცევას“, ესაა მრავალხმიანი მუსიკალური ჟანრი, რომელიც აგებულია მკაცრი კანონებით. მისი შესრულება მუსიკოსისაგან დიდ ოსტატობას მოითხოვს. გენიალურმა კომპოზიტორმა თავის „ტოკატა და ფუგაში“ ოსტატურად გამოიყენა კლასიკური აზერბაიჯანული მულამის, „ბაიათი-შირაზის“, მუსიკალური ინტონაციები. სად მოისმინა იოჰან სებასტიან ბახმა ჩვენი მულამი „ბაიათი-შირაზი“? ის ხომ მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში არც ერთხელ არ გასულა გერმანიის გარეთ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როგორც დღეს, იოჰან სებასტიან ბახის დროსაც, ქვეყნებს შორის არსებობდა სავაჭრო ურთიერთობანი. შესაძლებელია, იოჰან სებასტიან ბახმა მოისმინა ეს მულამი რომელიმე ვაჭრის შესრულებით, რომელიც გერმანიაში სავაჭრო საქმეებზე იყო ჩასული.

აღნიშნული შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხალხთა მუსიკალურ მემკვიდრეებს შორის არ არსებობს გადაულახავი საზღვარი.



იოჰან სებასტიან
ბახი




მუსიკალური ტრიო

მოვუსმინოთ მუსიკას

ნაწილი „ბერდაშტი“ მულამიდან „ბაიათი-შირაზი“ და ნაწყვეტი იოჰან სებასტიან ბახის ნაწარმოებიდან „ტოკატა და ფუგა“ რე მინორი

„ბერდაშტი“ – ესაა რიტმული ინსტრუმენტული შესავალი, რომელიც მულამ „ბაიათი-შირაზის“ დასაწყისში ჟღერს. ბერდაშტი წინასწარ ამზადებს მსმენელებს შესასრულებელი მულამის განწყობილებისთვის. მულამ „ბაიათი-შირაზის“ ნაწილის „ბერდაშტის“ მელოდია ძირითადად შედგება მეთექვსმეტედი, მერვედი, მეოთხედი და ნახევარი ბგერებისაგან. აქ მერვედი ნოტის გვერდით ასევე გვაქვს თქვენთვის კარგად ნაცნობი პაუზისა და ვოლტის ნიშნები.



მუსიკალური ინსტრუმენტი ორგანი

შევისწავლოთ სიმღერა

ბულაბი (წყარო)

მუსიკა საიდ რუსტამოვისა
ტექსტი მირმეჰლი სეიდზადესი

I
ზურმუხტისფრად ჩანსარ ველზე,
ანკარა ხარ, როგორც ცრემლი,
ხეთა ჩრდილში მიდუღუნებ,
ეწაფება შენს წყალს შველი.

მისამღერი:

ჩემო წყაროვ, ჩემო წყაროვ,
სტუმრად მოვალ შენთან, წყაროვ.

II
კლდეთა შორის მიჩხუჩხუხებ,
ასუფთავებ, ალამაზე,
ყველა გხვდება სიხარულით,
ყველას ნეტარებით ავსებ.

მისამღერი:

III

შარბათი ხარ მინდორ-ველთა,
ბაფხულობით ყველას ატკბობ,
ყველა შენკენ მოისწრაფის,
ყველა შენთან ყოფნას ნატრობს.

მისამღერი:



გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, სახალხო არტისტი, შესანიშნავი ლირიკული სიმღერების ავტორი საიდ რუსტამოვი დაიბადა 1907 წელს ძველ აზერბაიჯანულ ქალაქ ირევანში. 1924 წელს შევიდა ბაქოს პედაგოგიურ სემინარიაში, შემდეგ კი – პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1932 წელს. საიდ რუსტამოვის, როგორც კომპოზიტორის, ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვის გენიალურ კომპოზიტორ უზეირ ჰაჯიბეილის. მის შემოქმედებაში ძირითადი ადგილი უჭირავს სიმღერას. სიმღერებისთვის „სურეია“, «Neftçi qızı» („მენავთობე გოგონა“), „სუმგაითი“, «Mən sülhə səs verirəm» („მე ხმას ვაძლევ მშვიდობას“) საიდ რუსტამოვს 1957 წელს მიენიჭა „სახელმწიფო პრემიის ლაურეატის“ წოდება. კომპოზიტორი ასევე არის ავტორი მუსიკალური კომედიისა «Beş manatlıq gəlin» („ხუთმანეთიანი საპატარძლო“), «Durna» („დურნა“), «Rəisin arvadı» („უფროსის ცოლი“).

კითხვები

1. რა არის „ბაიათი-შირაზი“?
2. რომელი ხალხის წარმომადგენელია იოჰან სებასტიან ბახი და რომელ საუკუნეში ცხოვრობდა ის?
3. რომელი აზერბაიჯანელი მუღამის ინტონაციებია გამოყენებული იოჰან სებასტიან ბახის ნაწარმოებში „ტოკატა და ფუგა“?
4. რა არის „ბერდაშტი“ და მუღამის რომელ ნაწილშია ის?
5. ვინაა ავტორი სიმღერისა „წყარო“?



მუსიკალური ლექსიკონი

„ბაიათი-შირაზი“ – კლასიკური აზერბაიჯანული მუღამი

ორგანი – კლავიშებიანი სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც შედგება საყვირების ნაკრებისაგან, მათში საბერვლებით იჭირხნება ჰაერი.

დავალება

დაწერე ესე თემაზე „იოჰან სებასტიან ბახი და მუღამი „ბაიათი-შირაზი“.



რუსი კომპოზიტორი დიმიტრი ბორისის ძე კაბალევსკი და იაკონური ხალხური სიმღერა

მე-20 საუკუნის გამოჩენილი კომპოზიტორი, აკადემიკოსი, პროფესორი დიმიტრი ბორისის ძე კაბალევსკი არის მთელი რიგი ოპერების, სიმფონიების, კონცერტების სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტისათვის, ორატორიების, რეკვიემების, კანტატების და კონოფილმების მუსიკის ავტორი. დასახელებულ მუსიკალურ ჟანრთა გარდა, მას დაწერილი აქვს შესანიშნავი საბავშვო სიმღერები.

კომპოზიტორის სიმღერას „ჩვენი მხარე“ პოეტ ანატოლი პრიშელცის ტექსტზე ბავშვები სიყვარულით ასრულებენ არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში, მათ შორის აზერბაიჯანშიც.

როგორც ჩვენი ცნობილი კომპოზიტორის, განბარ ჰუსეინლის სიმღერა „ჯუჯალარიმ“ („ჩემი წიწილები“), რომელიც იქცა პოპულარულ და მსოფლიოში საყვარელ სიმღერად, ასევე დიმიტრი კაბალევსკის მარტივი მელოდია სიმღერისა „ჩვენი მხარე“, რომელიც სრულდება ვალსის ტემპში, მთელი მსოფლიოს ბავშვების ერთ-ერთი საყვარელი სიმღერაა.



დიმიტრი ბორისის ძე კაბალევსკი

შევისწავლოთ სიმღერა

ჩვენი მხარე

მუსიკა დიმიტრი კაბალევსკისა
ტექსტი ანატოლი პრიშელცისა

ხან არყის ხე, ხან ცირცელი,
ხანაც წნორი ღელის პირს.
ჩემო მხარევ, მშობლიურო,
სხვას სად ვნახავთ შენნაირს? (2)

მზე დანათის ჩვენს მთა-ველებს,
სადაც კი მიაწვდენ თვალს,
ჩემო მხარევ, საყვარელო,
ჰგავხარ აყვავებულ ბაღს. (2)

მისამღერი:

ლურჯი ზღვიდან ქედებამდე
ჩვენი მიწა ედემს ჰგავს,
გზები მუდამ წინ გვიხმობენ,
წინ მივიწევთ ყოველ წამს. (2)

მისამღერი:

და ბავშვობა სანატრელი
სულ ბრწყინდება ყოველ დღეს,
და ვარსკვლავი დიდებული
ჩვენს სამშობლოს ნათელს ჰფენს. (2)



სიმღერას ვასრულებთ ნოტებით და სიტყვებით

დიმიტრი ბორისის ძე კაბალევსკიმ შექმნა „ვარიაციები“ ფორტეპიანოსათვის, რომელშიც გამოიყენა იაპონური ხალხური სიმღერა „ალუბლები“. ამ ნაწარმოების სრული დასახელებაა „ვარიაციები იაპონური ხალხური სიმღერის თემაზე“.

ალუბლები

(იაპონური ხალხური სიმღერა)



ალუბლები ყვავის,
სადაც მოავლებ თვალს,
სადაც კი შეამჩნევ ბაღს.
ფოთლებს არხევს ნიაფი,
და ჩურჩულებს სიამით:
ალუბლები ყვავის!
ალუბლები ყვავის!

მოვესმინოთ მუსიკას

ვარიაციები იაპონური ხალხური სიმღერის თემაზე

მუსიკა დიმიტრი კაბალევსკისა



მუსიკალური ლექსიკონი

ვარიაცია – მუსიკალური ნაწარმოები, დაწერილი ძირითადი მუსიკალური თემისა და მისი ცალკეული ელემენტების ცვლადობით.

ფორტეპიანო – კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

პიანინო, რთიალი – ფორტეპიანოს ნაირსახეობანი.

კითხვები

1. ვინ არის დიმიტრი კაბალევსკი?
2. დიმიტრი კაბალევსკის რომელი მუსიკალური ნაწარმოებები იცით?
3. ვინაა ავტორი სიმღერისა „ჩვენი მხარე“?
4. კიდევ რა იცით ცნობილ სიმღერაზე „ჩვენი მხარე“?

დავალება

მოამზადე გეპირი პრეზენტაცია დიმიტრი კაბალევსკისა და იაპონური მუსიკის შესახებ.



რუსი კომპოზიტორი ნიკოლაი ანდრეის ძე რიმსკი-კორსაკოვი და აღმოსავლური მუსიკა

ნიკოლაი ანდრეის ძე რიმსკი-კორსაკოვი ერთ-ერთი იმ კომპოზიტორთაგანია, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ რუსულ და მსოფლიო მუსიკალურ კულტურაში. თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცი წლის განმავლობაში მან შექმნა მრავალი ოპერა და სიმფონიური ნაწარმოები, კერძოდ, თხუთმეტი ოპერა, სამი სიმფონია, სიმფონიური სუიტა „შაჰერეზადა“ და „ესპანური კაპრიჩიო“, ოთხმოცი რომანსი, სამი კანტატა, საგუნდო ნაწარმოებები, შესანიშნავი მუსიკალური ნიმუშები კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლებისა და ფორტეპიანოსათვის.



ნიკოლაი ანდრეის ძე
რიმსკი-კორსაკოვი

კომპოზიტორმა შეძლო მუსიკალური გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით შეექმნა შესანიშნავი სახეები. ასე, მაგალითად, მუსიკალური ენის საშუალებით დიდი ოსტატობით შექმნა ზღვა-ოკეანის სახე ოპერაში „სადკო“, სიმფონიურ სუიტაში „შაჰერეზადა“ – ჩიტების ჭიკჭიკი, ტალღების ღელვის ხმა, ფოთლების შრიალი. მან მთელ რიგ თავის ნაწარმოებში აღმოსავლური მუსიკის მოტივებისა და ინტონაციების გამოყენებით შექმნა მთელ მსოფლიოში განთქმული მუსიკალური შედევრები. ერთ-ერთი მათგანია სიმფონიური სუიტა „შაჰერეზადა“.

სიმფონიური სუიტა „შაჰერეზადა“



1988 წელს კომპოზიტორის მიერ შეიქმნა სიმფონიური სუიტა „შაჰერეზადა“, დაფუძნებული არაბული ზღაპრის, „ათას ერთი ღამის“, მოტივებზე. როდესაც ისმენთ ამ სუიტას, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგება, თვალწინ წარმოგიდგებათ სურათები ლურჯი ზღვისა, კაშკაშა მზისა, ძველი აღმოსავლური ქალაქ ბაღდადისა. სუიტის ნაწილებს შორის ჟღერს მუსიკალური თემა, ზღაპრის დასაწყისი, რომელშიც მშვენიერი შაჰერეზადა უამბობს გულჩვილ შაჰრიარს. სუიტა შედგება ოთხი ნაწილისაგან: „ზღვა და სინდბადის ხომალდი“, „პრინც გალანდარის ისტორია“, „პრინცი და პრინცესა“, „ზეიმობა ბაღდადში“.

მოვუსმინოთ მუსიკას

I ნაწილი ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვის ნაწარმოებისა „შაჰერეზადა“

ყველა ხალხს აქვს სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნიმუშები: ხალხური სიმღერები, ცეკვები და სხვ. მუსიკალური ნაწარმოებები.



აზერბაიჯანელ ხალხსაც აქვს სიმღერები და ცეკვები, რომლებიც უძველეს ხანაშია შექმნილი და ჩვენამდე მოაღწია თაობიდან თაობაზე გადმოცემით. უკვე მე-20 საუკუნეში ჩვენმა კომპოზიტორებმა დაიწყეს ამ სიმღერების ჩაწერა ნოტებზე, რათა ისინი შეენახათ მომავალი თაობებისათვის. ერთ-ერთი ასეთი სიმღერაა «Sarıbülbül» („კანარის ჩიტი“).

შევისწავლოთ სიმღერა

SARIBÜLBÜL (კანარის ჩიტი)

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

I
Vətən bağı al-əlvandır,
Yol üstündə sarı bülbül.
Ömür sürməli dövrandır,
Səsin gəlsin barı, bülbül.

II
Oxu, quşlar dilə gəlsin,
Xoş nəfəsin zilə gəlsin.
Bahar gülə-gülə gəlsin,
Mən çalanda tarı, bülbül.



სიმღერა «Sarıbülbül» $\frac{3}{4}$ ზომისაა. სიმღერაში გამოყენებულია მეთექვსმეტედი, მერვედი და მეოთხედი ბგერები. სიმღერა უნდა შესრულდეს ზომიერ ტემპში. იგი აგებულია აზერბაიჯანული კლასიკური მულამის „სეგიახის“ ინტონაციებზე. ამ სიმღერის ერთ-ერთი უბადლო შემსრულებელი არის სახალხო არტისტი, ხალხის საყვარელი ხანანდე გადირ რუსტამოვი.

გადირ რუსტამოვი



მუსიკალური ლექსიკონი

სუიტა – მუსიკალური, ნაწარმოები, რომელიც შედგება რამდენიმე კონტრასტული ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო შინაარსით.

კითხვები

1. ვინ არის ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვი?
2. ვინ არის ავტორი სიმფონიური სუიტისა „შაჰერეზადა“?
3. რამდენი ნაწილისაგან შედგება სიმფონიური სუიტა „შაჰერეზადა“?
4. რომელ ხალხს ეკუთვნის სიმღერა «Sarıbülbül»?

დავალება

გამოხატე შენი აზრი აზერბაიჯანული ხალხური სიმღერის «Sarıbülbül»-ის შესახებ, რომელსაც ასრულებს გადირ რუსტამოვი.

მიხაილ ივანეს ძე გლინკა და ესპანური მუსიკა

დიდი რუსი კომპოზიტორი, პროფესიული რუსული ოპერის ფუძემდებელი მიხაილ ივანეს ძე გლინკა ავტორია ისეთი შესანიშნავი ოპერებისა, როგორიცაა: „რუსლანი და ლიუდმილა“ და „ივან სუსანინი“, აგრეთვე შესანიშნავი სიმფონიური ნაწარმოებებისა, მათ შორის „არაგონული ხოტა“ და „ღამე მადრიდში“, რომლებშიც გამოყენებულია ესპანური ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ინტონაციები.



„არაგონული ხოტა“ კომპოზიტორმა დაწერა 1845 წელს ესპანეთის დედაქალაქში – მადრიდში, ხოლო უვერტიურა „ღამე მადრიდში“ – 1851 წელს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

არაგონი ესპანეთის ერთ-ერთი პროვინციაა. ხოლო „ხოტა“ ესპანური ხალხური ცეკვაა „იალისა“ და „ხალაის“ მსგავსი.



ამ ცეკვის ზომია $3/4$, იგი უცვლელად ჟღერს ამ ზომაში $\text{♩} \text{♩} \text{♩} \text{♩}$ და ა.შ.

უვერტიურაში „არაგონული ხოტა“, რომელსაც აქვს ხალისიანი და ცოცხალი ხასიათი, კომპოზიტორმა გამოიყენა ესპანური ხალხური ჯგუფური ცეკვა.

მოვუსმინოთ მუსიკას

მიხაილ გლინკა. ნაწყვეტი უვერტიურიდან „არაგონული ხოტა“



ტოროლა

ტოროლა ველის ჩიტია. ამ სიმღერაში მიხაილ გლინკამ შექმნა ბრწყინვალე, მომხიბლავი მელოდია.

საერთოდ, სიმღერები, რომლებიც ეძღვნება ბუნებას, ჩიტებს, ცხოველებს, გვხვდება როგორც აზერბაიჯანულ, ასევე სხვა ხალხთა მუსიკაში. ასეთი სიმღერები დამახასიათებელია ხალხური მუსიკისთვისაც და კომპოზიტორების შემოქმედებისთვისაც.

საფორტეპიანო აკომპანემენტით შესრულებული სიმღერა „ტოროლა“ მსმენელს წარმოუდგენს უსაზღვრო რუსული სივრცეების სურათებს. კომპოზიტორი მეტყველი მუსიკალური საშუალებების გამოყენებით ქმნის თავისებურ დიალოგს სიმღერის მელოდიასა და მის აკომპანემენტს შორის, რომლებიც განსაცვიფრებლად ავსებენ ერთმანეთს.



შევსწავლოთ სიმღერა

ყაჩალი ნაბი

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

Bozat, səni sər tövlədə bağlaram,
And içirəm, səni məxmər çullaram,
Ay Bozat, çullaram.
Bozat, məni bu davadan qurtarsan,
Qızıldan, gümüşdən səni nallaram,
Ay Bozat, nallaram.
Qoy mənə desinlər, ay nadan Nəbi,
Divanı yerindən oynadan Nəbi.



ყაჩალი ნაბი

აზერბაიჯანული სახალხო გმირი ყაჩალი ნაბი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში იბრძოდა ხალხის მჩაგვრელების წინააღმდეგ. ის იყო საოცრად ძამაცი. ნაბის ცხოვრების თანამგზავრი, მისი ცოლი ხაჯარი, მას არ ჩამოუვარდებოდა გამბედაობასა და სიმამაცეში. სახალხო შემსრულებლებმა შექმნეს სიმღერა „ყაჩალი ნაბი“, რომელშიც ხოტბაა შესხმული ყაჩალი ნაბის გამბედაობასა და სიმამაცეს.

ეს სიმღერა, რომელიც შექმნილია აშუღურ სტილში და მუღამ „სეგიახის“ საფუძველზე, სრულდება მომღერალ-ხანენდეთა მიერ, რომლებსაც მაღალი, წკრიალა ხმა აქვთ. აზერბაიჯანის კინოსტუდიაში გადაიღეს მხატვრული ფილმი «Atları yəhərləyin» („შეკაზმეთ ცხენები“), რომელიც ეძღვნება ჩვენი ხალხის გმირს, ყაჩალ ნაბის.



მუსიკალური ლექსიკონი

უვერტიურა – ნებისმიერი მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი.

„არაგონული ხოტა“ – ესპანური ცეკვა, რომელიც გავრცელებულია ესპანეთის პროვინცია არაგონში.

კითხვები

1. რომელი ხალხის წარმომადგენელია მიხაილ გლინკა?
2. მიხაილ გლინკას რომელი ოპერის სახელწოდება იცით?
3. ვინ არის ავტორი ნაწარმოებისა „არაგონული ხოტა“?
4. ვინ არის ავტორი სიმღერისა „ტოროლა“?




დავალება

გამოხატეთ აზრი აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერაზე „ყაჩალი ნაბი“.



ვალსი ევროპულ და აზერბაიჯანულ მუსიკაში

ვალსი არის სამეჯლისო ცეკვა, რომელსაც ასრულებენ მოცეკვავეთა ჯგუფები, იგი წარმოიშვა XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში. ეს ცეკვა სათავეს იღებს „ლენდლერიდან“, რომელიც ცნობილია, როგორც ავსტრიელი გლეხების ცეკვა. ვალსებისათვის დამახასიათებელია ზომი $\frac{3}{4}$. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:



იოჰან შტრაუსი

ტაქტის პირველი მეოთხედი ბგერა ჟღერს ძლიერად, ხოლო მეორე და მესამე მეოთხედი ბგერები პირველთან შედარებით უფრო სუსტია.

ცნობილმა კომპოზიტორმა იოჰან შტრაუსი (1825-1890), რომელიც ცხოვრობდა და შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, შექმნა მრავალი ვალსი სიმფონიური ორკესტრისათვის. ამიტომ იოჰან შტრაუსს დღესაც „ვალსების მეფეს“ უწოდებენ.

მოვუსმინოთ მუსიკას

იოჰან შტრაუსის „ვენის ტყის ვალსი“

ლევენდის თანახმად, იოჰან შტრაუსს, რომელმაც თავისი ეტლით გაიარა ტყის ახლოს, მოესმა ბულბულის გალობა. ამ ვალსის მელოდია და რიტმი ნასესხებია ბულბულის გალობის მელოდიიდან. როგორც ვხედავთ, კომპოზიტორებს შეუძლიათ შექმნან თავიანთი ნაწარმოებები ბუნების ხმების გამოყენებით.

იოჰან შტრაუსის შექმნილმა ვალსმა პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მათ შორის აზერბაიჯანშიც.

მსოფლიოში სახელგანთქმულმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა ყარა ყარაევმა თავის ბალეტში „შვიდი მზეთუნახავი“ ასევე შექმნა „ვალსი“. კომპოზიტორმა შეძლო, ევროპული ვალსის ზომები შეეხამებინა ჩვენი ხალხური ცეკვების თავისებურებებთან.

ვუსმენთ მუსიკას

„ვალსი“ ყარა ყარაევის ბალეტიდან „შვიდი მზეთუნახავი“

ვალსი სამნაწილიანია. „ვალსის“ პირველი ნაწილი დაწერილია მუდამ „ჩახარგიახის“ მუსიკალურ ინტონაციებზე. მეორე ნაწილი თავისი ჟღერადობით კონტრასტულია პირველ და მესამე ნაწილებთან. ძირითადი პირველი თემა ხელმეორედ ჟღერს მესამე ნაწილში, რომელიც მთავრდება საზეიმო კოდით (დასასრულით).





შევისწავლოთ სიმღერა

აბშერონი

მუსიკა თელმან გაჯიევისა
სიტყვები ნაბი ხაზრისა

I
Alar səni qoynuna,
Mehriban Xəzər.
İnci taxar boynuna,
Narın ləpələr.
Bağların cənnət təki,
Çiçək-çiçəkdir.
Buruqlar sinəndəki
Yanar ürəkdir.

მისამღერი:

Abşeron, ay Abşeron,
Ömür baharım.
Abşeron, ay Abşeron,
Odlar diyarım. (2)

II
İşıq olub, saçılan,
Həyat kimisən.
Sən dənizə açılan,
Qanad kimisən.
Sevir səni oğul, qız,
Məğrurdur səsin.
Bizim doğma Bakımız,
Baş tacın sənin.
მისამღერი:



თელმან გაჯიევი

შესანიშნავი სიმღერების
ავტორმა თელმან გაჯიევმა
დაწერა სიმღერა „აბშერონი“
ვალსის ტემპში.



მუსიკალური ლექსიკონი

ვალსი – 3/4 ზომის ცეკვა.

კითხვები


1. რომელი ხალხის წარმომადგენელია კომპოზიტორი იოჰან შტრაუსი?
2. ვინ არის ვალსის ჟანრის ფუძემდებელი?
3. ვინ გამოიყენა პირველად აზერბაიჯანში ვალსი?
4. ვინ შექმნა ბალეტი „შვიდი მზეთუნახავი“?
5. ვინ არის ავტორი სიმღერისა „აბშერონი“?

დავალება

მოამზადეთ გეპირი პრეზენტაცია თემაზე „ვალსი
ევროპულ და აზერბაიჯანულ მუსიკაში“.



მარში ევროპულ და აზერბაიჯანულ მუსიკაში



ჯუზეპე ვერდი

სიტყვა „მარში“ ფრანგული წარმოშობისაა, იგი ნიშნავს „სიარულს“, „სვლას“. მარში მუსიკალური ჟანრია, რომელიც ჟღერს ენერგიულ, მკაფიო რიტმში, თან ახლავს ლაღ სვლას. მარშები 2/4 და 4/4 თვლაზე სრულდება სამხედრო ან სპორტულ პარადებზე, დემონსტრაციებზე, სამგლოვიარო ცერემონიებზე. ჩვეულებრივ, მარშების შუა ნაწილი, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგება, ქმნის კონტრასტს პირველ და მესამე ნაწილებთან.

ცნობილი რევოლუციური სიმღერები „მარსელიოზა“, „ვარშავიანკა“, „ინტერნაციონალი“ და სხვები სწორედ მარშის ტემპით სრულდება.

გენიალურმა იტალიელმა კომპოზიტორმა ჯუზეპე ვერდიმ თავის ცნობილ ოპერაში „აიდა“ შექმნა „მარში“, რომელიც საზეიმო ხასიათისაა. ამ მარშში, რომელსაც ასრულებს სიმფონიური ორკესტრი, ძირითად თემას ახმოვანებს საყვირი. ეს მარშს საზეიმო ელფერს აძლევს და ზემოქმედების ძალა იზრდება.



მოვუსმინოთ მუსიკას

„მარში“ ჯუზეპე ვერდის ოპერიდან „აიდა“

აზერბაიჯანულ ხალხურ მუსიკაში ჩვენ ასევე ვხვდებით მარშის მსგავს ნიმუშებს.

ჩვენთვის კარგად ცნობილი „ხეირატი“, „ყარაბაღ შიკესტესი“ და სხვა რიტმული მულამები მარშის ტემპში სრულდება.

მარშის ხასიათისაა რენგი „სიმაი-შამსი“ მულამიდან „შური“. აზერბაიჯანში მულამ „შურის“ ცნობილი შემსრულებელი იყო ხანენდე იავერ ქალანთარლი.



იავერ ქალანთარლი

შევისწავლოთ სიმღერა

DƏNİZ NEFTÇİLƏRİNİN MAHNISI საზღვაო მენავთობეების სიმღერა

მუსიკა ყარა ყარავეისა, სიტყვები მიხაილ სვეტლოვისა

I
Mərdlikdən verir xəbər,
Səsi nəğməmizin.
İrəli gedir Bakı,
İrəli gedir Bakı,
Qoynuna dənizin.

II
Dalğalıdır hər tərəf,
Görünür neftdən iz.
Biz onu su altından,
Biz onu su altından,
Taparıq şübhəsiz.

Nəqarət:

Bakı, sən ucalt neft buruqlarını,
Bəzə hər yanı sərvətinlə.
Hər bir bakılının vurur ürəyi,
Sənin saf məhəbbətinlə.

Nəqarət:



მუსიკალური ლექსიკონი

მარში – ენერგიული, მკაფიო რიტმის მქონე მუსიკალური ნაწარმოები, რომლის ზომა შეესაბამება ნაბიჯებს.

„ხეირატი“ – მარშის ხასიათის აზერბაიჯანული რიტმული მულამი.

„ყარაბაღ შიკესტესი“ – მარშის ხასიათის აზერბაიჯანული რიტმული მულამი.

კითხვები

1. რა არის მარში?
2. რომელია მარშის ტიპის აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ნიმუშები?
3. ვინ დაწერა ოპერა „აიდა“?
4. რომელი მუსიკალური ინსტრუმენტი ახმოვანებს ძირითად თემას „მარში“ ჯუზეპე ვერდის ოპერიდან „აიდა“?
5. ვინ არის ავტორი სიმღერისა „საზღვაო მენავთობეთა სიმღერა“?

დავალება

მოამზადეთ ზეპირი პრეზენტაცია თემაზე „მარში ევროპულ და აზერბაიჯანულ მუსიკაში“.



ყარა ყარაევი და აფრიკელ ზანგთა მუსიკა



ყარა ყარაევი



პიტერ აბრაჰამსი

ბალეტი „მეხის ბილიკით“ დაწერა გამომგონებელმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა ყარა ყარაევმა 1958 წელს. იმავე წელს ბალეტი დაიდგა ლენინგრადის (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგის) ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. ამ ბალეტის შესაქმნელად კომპოზიტორმა გამოიყენა სამხრეთაფრიკელი მწერლის, პიტერ აბრაჰამსის, იმავე სახელწოდების რომანის სიუჟეტი.

ახალგაზრდა ზანგი ჭაბუკი ლენი სვარცი კეიპტაუნის უნივერსიტეტის დამთავრებისა და ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ ბრუნდება სამშობლოში. იგი იწყებს ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისათვის დამთელი ხალხი უერთდება მას.

„შავკანიანთა ცეკვა“ თავიდან სრულდება დასარტყმელ ინსტრუმენტზე, შემდეგ კი ფლეიტა პიკოლოზე (ე. ი. ყველაზე მაღალი რეგისტრის ფლეიტაზე) და ორ ფლეიტაზე.

მოვსმინოთ მუსიკას



აფრიკელი ზანგების ცეკვა

„შავკანიანთა ცეკვა“ ყარა ყარაევის ბალეტიდან „მეხის ბილიკით“

სიტყვა „ბალეტი“ იტალიური წარმოშობისაა და ნიშნავს „ცეკვას“. ბალეტი არის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სცენური ნაწარმოები. მასში მუსიკა, ცეკვა, დრამატული მოქმედება და სახვითი ხელოვნების ელემენტები ქმნიან ერთ მთლიანობას.

ყარა ყარაევის ბალეტი „მეხის ბილიკით“, სანკტ-პეტერბურგის გარდა, დაიდგა ბაქოს, ყაზანის, მინსკის, ტაშკენტის სცენებზე, აგრეთვე ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.



სცენა ბალეტიდან „მეხის ბილიკით“



ფლუიტა

ამ მუსიკის მელოდიას ასრულებს ფლუიტა-პიკოლო ორი ფლუიტის თანხლებით.



ფლუიტა-პიკოლო

შევისწავლოთ სიმღერა

ყარაბაღ შიკანსტანსი

(აზერბაიჯანული ხალხური რიტმული მულამი)

ნოტებზე გადაიტანა უზეირ ჰაჯიბეილიმ

I
Deyir ey!
Qarabağda bağ olmaz,
Qara salxım ağ olmaz.
Qürbətdə olanın,
Ürəyində yağ olmaz.

II
Deyir ey!
Əzizinəm, kimi gözlər,
Tar çalan simi gözlər.
Qaşların tək qaş olmaz,
Gözlərin kimi gözlər.

III
Deyir ey!
Əzizinəm Qarabağ,
Şəki, Şirvan, Qarabağ.
Aləm gözələ dönsə,
Yaddan çıxmaz Qarabağ.



ანსამბლი „ჰარი ბიულბიული“



მუსიკალური ლექსიკონი

ფლუიტა – ევროპული მაღალი რეგისტრის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი.

ფლუიტა-პიკოლო – ძალიან მაღალი რეგისტრის ფლუიტა. მისი ბგერა ერთი ოქტავით მაღალია ჩვეულებრივ ფლუიტასთან შედარებით.

ბალეტი – სცენური ხელოვნების სახეობა, რომელშიც შინაარსი მუსიკით, ცეკვითა და ჟესტით არის გადმოცემული.

კითხვები

1. ვინ არის ავტორი ბალეტისა „მეხის ბილიკით“?
2. როგორია მოკლე შინაარსი ბალეტისა „მეხის ბილიკით“?
3. რომელი ჩასაბერი ინსტრუმენტებია გამოყენებული „შავკანიანთა ცეკვაში“?
4. ყარა ყარაევის კიდევ რომელი ნაწარმოები იცით?

დავალება

მოამზადეთ გუპირი პრეზენტაცია თემაზე „ყარა ყარაევი და აფრიკელ ბანგთა მუსიკა“.

პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკი და მსოფლიოს ხალხთა მუსიკა



პეტრე ილიას ძე
ჩაიკოვსკი

გენიალური რუსი კომპოზიტორი პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკის მიერ დაწერილია მთელი რიგი ოპერები და ბალეტები, სიმფონიები, სხვადასხვა ჟანრის სიმფონიური ნაწარმოებები, უამრავი რომანსი და სიმღერა, საფორტეპიანო ნაწარმოებები (მათ შორის ბავშვებისთვისაც). ამ ნაწარმოებებში კომპოზიტორმა ასახა რუსეთის ბუნება, მისი სილამაზე, მრავალფეროვნება, წელიწადის დროების მშვენიერებით გამოწვეული განწყობილებები, გამოიყენა სხვა ხალხთა სიმღერები და ცეკვები. მაგალითად, მის მიერ დაწერილ პირველ კონცერტში ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის გვხვდება უკრაინული ხალხური სიმღერა „არყის ხე ველზე“. კომპოზიტორი ავტორია მსოფლიოში სახელგანთქმული ბალეტებისა: „გედების ტბა“, „მძინარე მზეთუნახავი“ და „შჩელკუნჩიკი“.

ბავშვებისადმი მიძღვნილი ბალეტის „შჩელკუნჩიკის“ სიუჟეტად მან გამოიყენა დიუმა-მამის მიერ დამუშავებული ვარიანტი გერმანელი პოეტისა და პროზაიკოსის ერნსტ ჰოფმანის ზღაპრისა „შჩელკუნჩიკი და თავგების ხელმწიფე“. შემდეგ ეს სიუჟეტი გადამუშავდა ბალეტის ლიბრეტოს სახით სანკტ-პეტერბურგელ ბალეტმაისტერ მარიუს პეტიპას მიერ.

პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკი ამ ნაწარმოებში რუსული მუსიკის გვერდით იყენებს ესპანური, არაბული, ჩინური ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ინტონაციებს.

მოვსკინოთ მუსიკას

„ესპანური ცეკვა“ ბალეტიდან „შჩელკუნჩიკი“ (მაკნატუნა)



ესპანური ცეკვა



ჩინური ცეკვა

კომპოზიტორმა მუსიკალური ენის საშუალებით გახსნა და გვიჩვენა ესპანელი ხალხის დამახასიათებელი თვისებები.

ამ ცეკვის ძირითადი მელოდია სრულდება ევროპულ სპილენძის ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტზე – საყვირზე. ბალეტში შესულია ისეთი მუსიკალური ნიმუშები, როგორებიცაა: „ჩინური ცეკვა“, რუსული ცეკვა „ტრეპაკი“ და „არაბული ცეკვა“.

შევისწავლოთ სიმღერა

ANA (დედა)

მუსიკა ელნარი დადაშევასი
სიტყვები საიალი თალიევასი

I

Məktəbə gedirəm mən,
Günlərim çox keçir şən.
Evdə də öz anama,
Kömək eləyirəm mən.

მისამღერი:

Mənim əziz anamı,
Xoşbəxt görsünlər hamı.

II

Anam məni çox sevir,
Dərsimdən «beş» gözləyir.
Arzu ilə söyləyir:
«Həkim ola, balam»,
— deyir.

მისამღერი:

III

Anam mənə əzizdir
İcətməmə, kövrəkdir.
Danışanda ləzzətdir,
Şirin sözü anamın.

მისამღერი:

სიმღერა „დედა“ ეძღვნება ქალთა საერთაშორისო დღეს – 8 მარტს. სიმღერა საცეკვაო ხასიათისაა, 6/8 ზომისა. ამიტომაც ეს სიმღერა არა მარტო იმღერება, არამედ მის მელოდიაზე ცეკვაც შეიძლება. ის დაწერილია სიმღერის მაჟორში.

NOVRUZGÜLÜ (თეთრყვავილა)

(აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა)



აზერბაიჯანული ხალხური ცეკვის სახელწოდება „ნოვრუზგიული“ („თეთრყვავილა“) არის სახელი ყვავილისა, რომელიც გაზაფხულის დადგომას გვაუწყებს.

ცეკვის მელოდია ჟღერს ტემპში ალევრეტო (ჩქარა), ზომაა 6/8. ნოვრუზი, რომელიც ნიშნავს „ახალ დღეს“, წარმოადგენს აზერბაიჯანული თეთრყვავილა ხალხის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ეროვნულ დღესასწაულს. ნოვრუზი იწყება 21 მარტს – გაზაფხულის დადგომასთან ერთად. ამ დღეს ხდება გაზაფხულის ბუნიობა – დღე და ღამე თანაბარია. ნოვრუზის მოახლოებისას, ე. ი. 4 კვირით ადრე დღესასწაულამდე, ყოველი სამშაბათი, რომელიც ეძღვნება ერთ-ერთს 4 ელემენტიდან – წყალს, ცეცხლს, ქარს და მიწას, აღინიშნება განსაკუთრებული ზეიმით. ნოვრუზის დღესასწაული ასევე აღინიშნება აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში.

ცეკვა „ნოვრუზი“ ჩვენი ერთ-ერთი ეროვნული ცეკვაა, რომელიც ნოვრუზის დღესასწაულზე სრულდება.

კითხვები

1. ვინ არის ბალეტ „შეღვრუნიკის“ ავტორი?
2. პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკის რომელი ნაწარმოებები იცით?
3. რომელ ხალხთა მუსიკალური ნიმუშები არის გამოყენებული ბალეტში „შეღვრუნიკი“?
4. ვინ არიან ავტორები სიმღერისა „დედა“?
5. რა შევიძლიათ თქვათ ცეკვა „ნოვრუზგიული“ შესახებ?



მუსიკალური ლექსიკონი

საყვარი – სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი.

„შეღვრუნიკი“ (მაკნატუნა) – პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკის ბალეტი.

სიმღერის მაჟორი – ორბემოლიანი მაჟორული გამა.

„ნოვრუზგიული“ – აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა.

დავალება

მომამზადეთ ზეპირი პრეზენტაცია თემაზე „პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკი და მსოფლიოს ხალხთა მუსიკა“.

ნოვრუზის დღესასწაული და მუსიკა



ნოვრუზის დღესასწაული აზერბაიჯანში



„ყველიერი“ ოპერიდან „თოვლია“

ნოვრუზის დღესასწაულის დროს ადამიანები ასუფთავებენ სახლს და ეზოს, აცხობენ ტკბილეულს, ფახლავას, გოგალს, ღებავენ კვერცხებს, თესავენ.

ჩვენი მეზობელი – რუსი ხალხი გაზაფხულის მოსვლასთან დაკავშირებით ძველი დროიდანვე ზეიმობს „ყველიერს“. რუსმა კომპოზიტორმა ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვმა თავის ოპერაში „თოვლია“ სიმღერებისა და ცეკვების დახმარებით შესანიშნავად ასახა „ყველიერის“ დღესასწაული.

შევისწავლოთ სიმღერა

BAYRAM AXŞAMLARINDA („სადღესასწაულო საღამო“)

I

Yollar əlvan boyanar,
Evlərə arzu yağar.
Göylərə sevinc qonar,
Bayram axşamlarında.

მისამღერი:

Nəğmə olar dalğalar,
Qış dönüb olar bahar.
Göydən məhəbbət yağar,
Bayram axşamlarında.

II

Görməzsən yalqızları,
Al geyər el qızları.
Lalə kimi qızarar,
Bayram axşamlarında.

მისამღერი:

III

Hər tərəf işıq olar,
Başqa yaraşiq olar.
Göy yerə aşiq olar,
Bayram axşamlarında.

მისამღერი:

მუსიკა რამიზ მირიშლისა
სიტყვები ფიქრათ კოჯასი





მოვუსმინოთ მუსიკას

აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა „ნელბეჟი“

„ნელბეჟი“ („ლამბაქები“) ერთ-ერთი ძველი აზერბაიჯანული ცეკვაა. მიუხედავად მისი მინორული ჟღერადობისა, ზომა 6/8 მას აძლევს ხალისიან, წინასადღესასწაულო განწყობილებას. ამიტომაც, რომ ცეკვა „ნელბეჟი“ ყველა სახალხო დღესასწაულს ამშვენებს. აზერბაიჯანულ ხალხურ ცეკვა „ნელბეჟს“ გოგონები ლამბაქებით ხელში ასრულებენ.



აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა „ნელბეჟი“

კითხვები

1. რისი თემა შეგიძლიათ ცეკვა „ნელბეჟის“ შესახებ?
2. რაა იცით ცეკვა „ნელბეჟის“ შესახებ?
3. ვინ არის ავტორი სიმღერისა „BAYRAM AXŞAMLARINDA“ („სადღესასწაულო საღამო“)?
4. რისი თემა შეგიძლიათ „ყველიერის“ დღესასწაულზე?
5. ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვის რომელი ნაწარმოებები იცით?




მუსიკალური ლექსიკონი

„ნელბეჟი“ – ძველი აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა.
„ყველიერი“ – დღესასწაული, რომლითაც რუსი ხალხი აღნიშნავს ზამთრის დამთავრებასა და გაზაფხულის დადგომას.

დავალება

მოამზადეთ გეპირი პრეზენტაცია თემაზე „ნოვრუზის დღესასწაული და მუსიკა“.

შაჰერეზადა



ესპანური ტაქები



აფრიკული ტაქები



ნოვრუზი და ყველიერი




IV ნაწილი



**კომპოზიტორი,
შემსრულებელი,
მსმენელი**

კომპოზიტორი და მუსიკა



ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი

რაა საჭირო მუსიკის არსებობისათვის? როგორ იქმნება მუსიკა და როგორ ვრცელდება იგი შემდეგ ხალხის ფართო მასებში?

რასაკვირველია, იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ მუსიკაზე, პირველ რიგში, საჭიროა, რომ იგი შექმნას კომპოზიტორმა. მაგრამ ვინ შექმნა ხალხური მუსიკა? უძველეს დროში ხომ არც მუსიკალური კოლექციები არსებობდა, არც კონსერვატორიები, არც მუსიკალური აკადემია. მაშ, ვინ ქმნიდა ძველად სიმღერებსა და ცეკვებს, რომლებიც ქორწილებში, დღესასწაულებზე სრულდებოდა? რა თქმა უნდა, სახალხო მუსიკოსები – აშუღები, მომღერალი-ხანენდეები. აქედან გამომდინარე, სახალხო მუსიკოსებს შეიძლება ვუწოდოთ ძველი დროის კომპოზიტორები. მაგრამ კომპოზიტორი, რომელმაც სიმღერა ან ცეკვა შექმნა, თუ მას თავისთვის შეინახავს, არ დაუშვებს, რომ ისინი სახალხოდ აღიარონ. ასეთ შემთხვევაში ამ მუსიკის არსებობის შესახებ არავის ეცოდინებოდა, მისი შემქმნელი კომპოზიტორის გარდა.

ამგვარად, მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც კომპოზიტორმა შექმნა, აუცილებელია ვინმემ შეასრულოს. მაგრამ მაშინაც კი, თუ კომპოზიტორის ნაწარმოები შემსრულებელმა გააუღერა, მაინც არ შეიძლება ლაპარაკი ამ მუსიკის არსებობაზე. ე. ი. შესრულებული მუსიკა აუცილებელია წარვადგინოთ მსმენელთა წინაშე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ მუსიკის არსებობაზე. ეს კავშირი შეიძლება ვაჩვენოთ ასე:



კომპოზიტორი
ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი



შემსრულებელი
სიმფონიური ორკესტრი



მსმენელები

გენიალური ავსტრიელი კომპოზიტორი ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი ავტორია 50 სიმფონიისა, 19 ოპერისა, სონატებისა სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტმა 4 წლის ასაკში დაიწყო კონცერტების ჩატარება მთელი რიგი ევროპული ქვეყნების მუსიკალურ სალონებში. ამ კონცერტებზე ყმაწვილი კომპოზიტორი ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებთან ერთად ასრულებდა საკუთარ სონატებსა და კონცერტებს ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის. მსმენელებს განსაკუთრებით უყვართ მისი მე-40 სიმფონია. გულში ჩამწვდომია ამ სიმფონიის პირველი ნაწილის ძირითადი თემის მელოდია.

მოვუსმინოთ მუსიკას

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის მე-40 სიმფონიის

პირველი ნაწილი

ყველა ადამიანს, რომლებიც უსმენენ მუსიკალურ ნაწარმოებს, მსმენელები ჰქვიათ, მათ შორის – მოსწავლეებსაც.

შევისწავლოთ სიმღერა

GÖZƏL QUBA (მშვენიერი კუბა)

მუსიკა საიდ რუსტამოვისა, სიტყვები მირმეჰტი სეიდზადესი

I

Bir yanın Şah dağı, bir yanın Xəzər,
Meyvəli bağların ormana bənzər,
Səhər şəfəqlərin hüsnünü bəzər.

მისამღერი:

Sən belə deyildin əzəl, ay Quba,
Nə qədər gözəlsən, gözəl, ay Quba.

II

Əyir budaqları bağların barı,
Şirin almaların al, qızıl, sarı,
Bahara bənzəyir payız ayları.

მისამღერი:



კუბა მდებარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჩრდილოეთით. რაიონი ცნობილია თავისი მშვენიერი ბუნებით, მთებით, მდინარეებით, ხეხილის ბაღებით, განსაკუთრებით, თეთრი ვაშლებით. კუბის ვაშლზე ხალხში სიმღერაც კია შექმნილი – «Qubanın ağ alması» («კუბის თეთრი ვაშლი»). სიმღერა «Gözəl Quba» («მშვენიერი კუბა») ხალისიანი, საცეკვაო ხასიათისაა, 6/8 ზომისა. სიმღერა შედგება კუპლეტისა და მისამღერისაგან. სიმღერაში ხოტბაა შესხმული მშვენიერი კუბასადმი, რომელსაც გარს არტყია ერთი მხრიდან ქალაქი შაჰდაღი, მეორე მხრიდან კი – კასპიის ზღვა; შექებულია მისი ხეხილის ბაღები, წითელი, ოქროსფერი და თეთრი ვაშლები, მისი ბუნება შემოდგომისას. სიმღერის მელოდია მარტივი და გულში ჩამწვდომია.



მუსიკალური ლექსიკონი

კომპოზიტორი – მუსიკალური ნაწარმოების ავტორი.

შემსრულებელი – მუსიკოსი, რომელიც აჟღერებს მუსიკალურ ნაწარმოებს.

მსმენელი – ის, ვინც უსმენს მუსიკალურ ნაწარმოებს.

სიმფონია – ბერძნული სიტყვა, ნიშნავს „ჰარმონიულს“. დიდი ზომის მუსიკალური ნაწარმოები სიმფონიური ორკესტრისათვის, შედგება სამი ან ოთხი ნაწილისაგან.

კითხვები

1. ვინ არის კომპოზიტორი?
2. რა არის შემსრულებლის ფუნქცია?
3. რისთვისაა საჭირო მსმენელი?
4. რა იცი ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის შესახებ?
5. ვინ არის ავტორი სიმღერისა «Gözəl Quba» («მშვენიერი კუბა»)?

დავალება

მოამზადეთ ზეპირი პრეზენტაცია თემაზე „კომპოზიტორი და მუსიკა“.

კომპოზიტორი და სიმღერა



თოფიკ ყულიევი

მსოფლიოში სახელგანთქმული აზერბაიჯანელი კომპოზიტორი თოფიკ ყულიევი დიდი მუსიკოსია, რომელმაც შექმნა მრავალი მუსიკალური ნაწარმოები სასიმღერო ჟანრში.

თოფიკ ყულიევიმ საფუძველი ჩაუყარა აზერბაიჯანულ საესტრადო სიმღერებს. იმავდროულად კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა მხატვრული ფილმებისათვის: „ბახტიარი“, «Ögey ana» („დედინაცვალი“), „ნასიმი“, «Qayınana» („დედამთილი“) და სხვ. შემდგომში ამ მუსიკალურმა ნაწარმოებებმა ხალხში დიდი პოპულარობა მოიპოვა.

მოზრდილთათვის დაწერილი ნაწარმოებების გვერდით კომპოზიტორმა შექმნა ასევე საფორტეპიანო პიესები და სიმღერები ბავშვებისათვის. მისი საფორტეპიანო ციკლი „ჯამილის ალბომი“ შეიცავს მცირე ზომის შესანიშნავ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

მოვესმინოთ მუსიკას

„კაითალი“ საფორტეპიანო პიესების ციკლიდან „ჯამილის ალბომი“

„კაითალი“ მამაკაცის ცეკვაა, რომელიც ჩქარ ტემპში სრულდება. მისი შესრულება თვლამე 4/4 მოითხოვს მუსიკოსის დიდ ოსტატობას.

აზერბაიჯანში ამ ნაწარმოების ვირტუოზული შესრულებელია სახალხო არტისტი, პროფესორი, პიანისტი ფარჰად ბადალბეილი.



ფარჰად ბადალბეილი

შევისწავლოთ სიმღერა

სიმღერა «KƏNDİMİZ» („ჩვენი სოფელი“) ფილმიდან «ÖGEY ANA» („დედინაცვალი“)

I

Yurdum, yuvam, ay əziz kəndimiz,
Azad, abad, ay təmiz kəndimiz,
Gözəl olur səndə yay, qış, bahar!

მისამღერი:

Yaşıl meşəli, ömrü nəşəli,
Sevirəm səni, gözəl kəndimiz.
Qarlı dağların, varlı bağların,
Sevirəm səni, gözəl kəndimiz.

მუსიკა თოფიკ ყულიევისა
სიტყვები ზეინალ ჯაბარზადესი

II

Quşlar, quşlar nə gözəl oxuyur,
Bəh-bəh, bəh-bəh, nə gözəl oxuyur,
Yaşıl, əlvan, sarı çiçəkləri.

მისამღერი:

მოცემულ სიმღერაში გამოყენებულია მულამ „ბაიათ-შირაზის“ ინტონაციები.

კითხვები

1. ვინ არის თოფიკ ყულიევი?
2. თოფიკ ყულიევის რომელი ნაწარმოები იცით?
3. ვინ არის ავტორი სიმღერისა «KƏNDİMİZ» („ჩვენი სოფელი“)?
4. ვინ არის ავტორი საფორტეპიანო პიესების ციკლისა „ჯამილის ალბომი“?



მუსიკალური ლექსიკონი

„კაითალი“ – მამაკაცების აზერბაიჯანული ცეკვა, რომელიც სწრაფ ტემპში სრულდება.

პიესა – მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც გათვალისწინებულია გარკვეული მუსიკალური ინსტრუმენტისათვის.

დავალება

მოამზადეთ ზეპირი პრეზენტაცია თემაზე „კომპოზიტორი და სიმღერა“.

კომპოზიტორი და რომანსი



ბიულბიული

რომანსი – ესაა მცირე ზომის ვოკალური ნაწარმოები, რომელიც დაწერილია ხმისათვის მუსიკალური ინსტრუმენტების აკომპანემენტით. უმეტეს შემთხვევაში მუსიკალური აკომპანემენტისათვის გამოყენებულია ფორტეპიანო. რომანსის ტექსტები შეიძლება იყოს ლირიკული, სატირული, იუმორისტული და საზეიმო ხასიათისა. რომანსების შინაარსი და გამომსახველობითი საშუალებები უფრო რთულია, ვიდრე სიმღერებისა. რომანსი, როგორც ვოკალური ჟანრი, XIX–XX საუკუნეებში ფართოდ იყო გავრცელებული ევროპელი და რუსი კომპოზიტორების შემოქმედებაში. რომანსის ჟანრის დამაარსებელი აზერბაიჯანში არის ნიჭიერი კომპოზიტორი ასაფ ზეინალი. გასული საუკუნის 20-იან წლებში მან შექმნა ისეთი

მშვენიერი რომანსები, როგორებიცაა: «Ölkəm» („ჩემი ქვეყანა“), „სულ“ („შეკითხვა“), „ჯეირანი“, „ჩადრი“, «Sərhədcı» („მესაზღვრე“), და სხვა. რომანსები – «Ölkəm» („ჩემი ქვეყანა“) და „სული“ („შეკითხვა“), რომლებიც განსაკუთრებით უყვარს ხალხს, პირველად შესრულდა ცნობილი მომღერლის ბიულბიულის მიერ. სიტყვები რომანსისა «Ölkəm» ეკუთვნის გამოჩენილ აზერბაიჯანელ დრამატურგ ჯაფარ ჯაბარლის. ამ რომანსს შეიძლება ეწოდოს სამშობლოს ჰიმნი. რომანსში კომპოზიტორმა ოსტატურად გამოიყენა მუღამ „შურის“ ინტონაციები და მუღამისთვის დამახასიათებელი თვისებები. რომანსის მოსმენისას, რომელიც ჟღერს მოდერატოს ტემპში სოლ მინორში, ზომა $\frac{3}{4}$, თვალწინ ცოცხლდება უსაზღვრო მინდვრები და ველები, მაღალი მთები თოვლიანი მწვერვალებით, ხეხილის ბაღები, მშობლიური ქვეყნის მშრომელი ადამიანები.



ასაფ ზეინალი

მოვუსმინოთ მუსიკას

რომანსი «ÖLKƏM» („ჩემი ქვეყანა“)

შევისწავლოთ სიმღერა

SƏHƏR NƏĞMƏSİ (დილის სიმღერა)

მუსიკა აშრად აბასოვისა
სიტყვები იუსუფ აზიმზადესი

I
Gözəl səhər, gözəl səhər,
Ey hər şeydən əzəl səhər.
Apar bizi uzaqlara,
Bir əbədi şəhə bəhərə.
მისამღერი:

II
Ötən bülbül, ötən bülbül,
Ey kamına yetən bülbül.
Səninkidir bu gül-çiçək,
Onlardan öz ətrini çək.
მისამღერი:

მისამღერი:

Qoca bağban, qoca bağban,
Ey şöhrəti uca, bağban.
Su ver bizə sərin-sərin,
Pənahısan çiçəklərin.

კითხვები

1. ვინ არის აზერბაიჯანში რომანსის ჟანრის დამფუძნებელი?
2. ასაფ ზეინალის რომელი რომანსები იცი?
3. ვინ არის ავტორი რომანსისა «Ölkəm» („ჩემი ქვეყანა“)?
4. რომელი ევროპელი და რუსი კლასიკოსი კომპოზიტორები წერდნენ რომანსებს?



მუსიკალური ლექსიკონი

რომანსი – მცირე ზომის ვოკალური ნაწარმოები ფორტეპიანოს ან სხვა მუსიკალური ინსტრუმენტის აკომპანემენტით.

დავალემა

მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია თემაზე „კომპოზიტორი და რომანსი“.



კომპოზიტორი და ოპერეტა



უზეირ პაჭიბელი

ოპერეტა (მუსიკალური კომედია) – ესაა კომედიური შინაარსის მუსიკალური სცენური ნაწარმოები, რომელიც შედგება ვოკალურ-საცეკვაო და სალაპარაკო ეპიზოდებისაგან, სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. მუსიკის შექმნამდე იწერება მისი ლიბრეტო. ლიბრეტო – ესაა ოპერეტისათვის დაწერილი ლიტერატურული ტექსტი. ლიბრეტოს წერენ პოეტები, მწერალი დრამატურგები. ეს ჟანრი დაიბადა მე-19 საუკუნის შუახანებში საფრანგეთში. ამ ჟანრის პირველი ნიმუშები შექმნა კომპოზიტორმა ჟაკ ოფენბახმა. შემდგომში ოპერეტის საუკეთესო ნიმუშები შეიქმნა ვენელი კომპოზიტორების შტრაუსის შვილის და ემერის კალმანის მიერ, ხოლო რუსი კომპოზიტორებიდან – ისააკ დუნაევსკის, ვასილ სოლოვიოვ-სედოისა და სხვათა მიერ.

აზერბაიჯანში ამ ჟანრის პირველი ნიმუშები შეიქმნა მეოცე საუკუნის დასაწყისში გენიალური უზეირ პაჭიბელის მიერ. ესაა ოპერეტები „ქმარი და ცოლი“, „ეს თუ არა, ის“ და „არშინ მალ ალან“. სამივე ოპერეტის ლიბრეტო ეკუთვნის თავად კომპოზიტორს. ოპერეტა „არშინ მალ ალან“ კომპოზიტორმა დაწერა 1913 წელს პეტერბურგში სწავლის დროს. შემდგომში ეს ოპერეტა დაიდგა კავკასიის ყველა სცენაზე და მის ფარგლებს გარეთ, ამერიკაშიც კი, ასე რომ, მან მსოფლიო სახელი მოიპოვა.

1945 წელს ოპერეტა „არშინ მალ ალანის“ საფუძველზე აზერბაიჯანის ჯაფარ ჯაბარლის სახელობის კინოსტუდიაში გადაიღეს ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმი, რომელმაც სახელი გაითქვა მთელ მსოფლიოში. თავის ოპერეტაში უზეირ პაჭიბელმა სიმღერებთან, ცეკვებთან, დუეტებთან ერთად შეიტანა არიებიც.

არია მუსიკალური ვოკალური სოლო ნომერია. ჩვეულებრივ, არიაში გახსნილია პერსონაჟის ხასიათის მთავარი შტრიხები.

მოვუსმინოთ მუსიკას

„პრელუდია“ ოპერეტიდან „არშინ მალ ალან“



ფრაგმენტი მუსიკალური კომედიიდან „არშინ მალ ალან“.

პრელუდია მუსიკალური ნაწარმოების შესავალია. მას ასევე უწოდებენ უვერტიურას. ჩვეულებრივ, პრელუდიაში თუ უვერტიურაში მოკლედაა მუსიკალურად ასახული ნაწარმოების შინაარსი და ხასიათი.

„არშინ მალ ალანის“ პრელუდია ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ხალისიანი საცეკვაო ხასიათისაა, სრულდება ჩქარ ტემპში, აზერბაიჯანული ხალხური მუსიკისათვის ტიპური ზომითნ/მ. ხოლო მეორე ნაწილის ზომაა $\frac{3}{4}$.

ოპერეტაში მონაწილეობს სიმფონიური ორკესტრი, გუნდი, სოლისტები და მოცეკვავეთა ჯგუფების კოლექტივები.

შევისწავლოთ სიმღერა

VƏTƏN OĞLU (სამშობლოს შვილი)

(აზერბაიჯანული აშუღური სიმღერა)

Vətən oğlu öz canını,
El uğrunda qurban elər.
Aşıq coşar məclislərdə,
Bu şöhrəti dastan elər.
Ay aman, ay aman,
Dastan elər, dastan elər.

Çala bilməz sar tərlandı,
Bu elləri yaxşı tanı.
Kəc baxana gen dünyanı,
Bizim ordu zindan elər.
Ay aman, ay aman,
Zindan elər, zindan elər.

Çox güvənmə gəl özünə,
Mil salaram cüt gözüne.
Bir damcı qan əvəzinə,
Qoç Koroğlu min qan elər.
Ay aman, ay aman,
Min qan elər, min qan elər...



აზერბაიჯანის ერთგული გმირი მუბარიზ იბრაჰიმოვი



მუსიკალური ლექსიკონი

ოპერეტა – XIX–XX საუკუნეებში საფრანგეთში წარმოშობილი მუსიკალური სცენური ნაწარმოები, რომელიც შედგება ვოკალურ–საცეკვაო სცენებისაგან და სალაპარაკო ეპიზოდებისგან სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. ოპერეტის შინაარსი კომედიურია.

„**არშინ მალ აღან**“ – ოპერეტა, რომელიც შექმნა უზეირ ჰაჯიბეილიმ 1913 წელს.

ლიბრეტო – ლიტერატურული ტექსტი მუსიკალური სცენური ნაწარმოებისათვის.

კითხვები

1. რა არის ოპერეტა?
2. სად წარმოიშვა ოპერეტა?
3. ვინ არის აზერბაიჯანული ოპერეტის დამფუძნებელი?
4. უზეირ ჰაჯიბეილის რომელი ოპერეტებია თქვენთვის ცნობილი?

დავალება

გამოთქვით თქვენი აზრი ოპერეტის შესახებ.



კომპოზიტორი და ოპერა



აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის
სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ოპერა თეატრალური ხელოვნების სახეობაა, რომელშიც სცენური მოქმედებები უშუალოდ დაკავშირებულია მუსიკასთან, ვოკალთან და სიმფონიურ ორკესტრთან. იგი იტალიური სიტყვაა და ნიშნავს „ნაწარმოებს“. თანამედროვე ოპერებში მუსიკა, ვოკალური შემსრულებლობა, ცეკვები, გუნდი და სიმფონიური ორკესტრი ქმნიან ერთ მთლიანობას.

დეკორაციებისა და კოსტიუმების მომზადებისას ოპერაში გამოყენებულია სახვითი ხელოვნების ელემენტები. ოპერის პირველი ნიმუშები წარმოიშვა იტალიაში. ოპერის პირველი ავტორები იყვნენ იტალიელი

კომპოზიტორები იაკოპო პერი და კლაუდო მონტევერდი. მე-18 საუკუნეში ვოლფგანგ ამადეუს მოცარტმა და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა შექმნეს ოპერის შესანიშნავი ნიმუშები.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში იტალიელმა კომპოზიტორმა ჯუზეპე ვერდიმ და ფრანგმა კომპოზიტორმა ჟორჟ ბიზემ ოპერის ჟანრი მაღალ დონეზე აიყვანეს.

აზერბაიჯანში პირველი ოპერა „ლეილი და მაჯნუნი“ შექმნა 1908 წელს გენიალურმა კომპოზიტორმა უზეირ ჰაჯიბეილიმ. ეს ოპერა ასევე პირველი ადმოსავლური ოპერა-მულამია. კომპოზიტორმა 1938 წელს დაასრულა ოპერა „ქოროლლი“, რომელიც იმავე წელს დაიდგა აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე, შემდეგ კი – მოსკოვის დიდ თეატრში.

ოპერის ჟანრისთვისაც პირველ რიგში ლიბრეტოს დაწერაა საჭირო. ოპერა „ქოროლლის“ ლიბრეტო გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა მწერალმა მამედ საიდ ორდუბადიმ დაწერა. ეს ჰეროიკული ოპერა ეძღვნება აზერბაიჯანის ლეგენდარულ სახალხო გმირს ქოროლლის. არიებთან ერთად ოპერაში ასევე გამოყენებულია მცირე ზომის არიეტები და მონოლოგები, რომლებიც არიების ნაირსახეობებს წარმოადგენენ. ოპერაში ფართოდაა გამოყენებული ისეთი ვოკალური ანსამბლები, როგორებიცაა: დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი. ყველა სცენური მოქმედება სიმფონიური ორკესტრის თანხლებით მიმდინარეობს.



ფრაგმენტი ოპერიდან „ქოროლლი“

მოვუსმინოთ მუსიკას

გუნდი „ჩენლიბელი“ უზეირ ჰაჯიბეილის ოპერა „ქოროლლის“ მე-3 მოქმედებიდან

გუნდი „ჩენლიბელი“ თავისი ხასიათით მოგვაგონებს აზერბაიჯანულ ჰეროიკულ ცეკვა „ჯანგის“. იგი სრულდება მარშის ტემპით, ზომა 2/4. ასრულებს დიდი ოთხხმიანი საგუნდო კოლექტივი დიდი სიმფონიური ორკესტრის თანხლებით.

შევისწავლოთ სიმღერა

DƏNİZ (ზღვა)

მუსიკა ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვისა
სიტყვები ასლან ასლანოვისა

Dəniz, dəniz, göy dəniz,
Hava təmiz, göy təmiz.
Qol atdıqca göy dalğalar,
Bizi atıb yırgılar.

მისამღერი:

Dalğalar sərindir, sərindir,
Çox üzmerik dərindir, dərindir.
Dalğalar sərindir, göy sular sərindir,
Qol atdıqca göy dalğalar,
Bizi atıb yırgılar.

II

Dəniz, dəniz, ay dəniz,
Çox sevirik səni biz.
Çimdikə qucağında,
Bərkiyir bədənımız.

მისამღერი:

III

Dəniz, dəniz, göy dəniz,
Hava təmiz, göy təmiz.
İndi bizi gözləyir,
Məktəbli düşərgəmiş.

მისამღერი:



ჯაჰანგირ
ჯაჰანგიროვი



მუსიკალური ლექსიკონი

ოპერა – თეატრალური წარმოდგენის ფორმა, რომელშიც მოქმედება ძირითადად მუსიკით (სიმღერითა და აკომპანემენტით) გადმოიცემა.

არია – ვოკალური სოლო ნომერი მუსიკალური თანხლებით; გადმოსცემს ოპერის პერსონაჟის ხასიათს.

კვარტეტი – ოთხი შემსრულებლისაგან შედგენილი ანსამბლი.

კვინტეტი – ხუთი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი.

არიეტა – მცირე ზომის არია.

კითხვები

1. რა არის ოპერა?
2. სად და ვინ დაწერა პირველი ოპერები?
3. როდის და ვინ დაწერა პირველი აზერბაიჯანული ოპერა?
4. ვინ არის ავტორი ოპერისა „ქოროღლი“?

დავალება

გამოთქვი აზრი ოპერის შესახებ.

კომპოზიტორი და სიმფონია



სიმებიანი ორკესტრი

ამიროვმა დაწერა ოთხნაწილიანი სიმფონია „ნიზამი“ სიმებიანი ორკესტრისათვის. ეს სიმფონია აზერბაიჯანის გარდა, დიდი წარმატებით შესრულდა მოსკოვში, ვაშინგტონში, პარიზში და ევროპის სხვა ქალაქებში.

სიმებიანი ორკესტრი არის მუსიკალური კოლექტივი, რომელიც ჩამოყალიბებულია ევროპული სიმებიანი ინსტრუმენტებისაგან. კოლექტივში მონაწილეობს ევროპული მუსიკალური ინსტრუმენტების 5 ჯგუფი. ეს ინსტრუმენტებია: I ვიოლინოები, II ვიოლინოები, ალტები, ვიოლონჩელოები და კონტრაბასები. ასეთ ორკესტრში შეიძლება მონაწილეობდეს 30-დან (მცირე შემადგენლობა) 50-მდე (დიდი შემადგენლობა) მუსიკოსი.



I ვიოლინო



II ვიოლინო



ალტი



ვიოლონჩელო
(ჩელო)



კონტრაბასი

მოვესმინოთ მუსიკას

მე-2 ნაწილი ფიქრეთ ამიროვის სიმფონიისა „ნიზამი“

ოთხნაწილიანი სიმფონიის „ნიზამის“, მე-2 ნაწილს ეწოდება „სკერცო“. „სკერცო“ ნიშნავს „მკვეთრი ხასიათის პიესას“. ე. ი. სკერცო შეიძლება იყოს იუმორისტული, ფანტასტიური და ა. შ. ჩვეულებრივ, ასეთი პიესები საცეკვაო ხასიათისაა, ზომაა 3/4, ხოლო ფიქრეთ ამიროვის „სკერცო“ არის ვალსის ხასიათის, 3/8 ზომისა.



შევისწავლოთ სიმღერა

BAHAR GƏLİR გაზაფხული დგება

მუსიკა ფიქრათ ამიროვისა
სიტყვები ზეინალ ჯაბარზადესი

I

Axar sular aşır, daşır,
Dağ, dərələr yaşıllaşır.
Sevincimiz həddən aşır,
Ay uşaqlar, xoş bahar gəlir.

II

Dağda çoban çalır tütək,
Ot otlayır qoyun, inək.
Əsir sərin-sərin külək,
Ay uşaqlar, xoş bahar gəlir.

III

Quşlar uçur qatar-qatar,
Çiçəklənir göy bağçalar.
Ay uşaqlar, ay uşaqlar,
Sevimli xoş bahar gəlir.

სიმღერა „გაზაფხული მოდის“, რომელიც 6/8 ზომისაა, სრულდება საშუალო-ზომიერ ტემპში და მაჟორში. სიმღერა თანახმიერია მულამისა „რასტი“. მასში ხოტბას ასხამენ გაზაფხულის სიმშვენიერეს. ასახულია გაზაფხულის მოსვლასთან დაკავშირებული განწყობილებები.



მუსიკალური ლექსიკონი

სიმებიანი ორკესტრი – სიმებიან ინსტრუმენტებზე დამკვრელი მუსიკოსების ჯგუფი.

კითხვები

1. რა იცით სიმფონიის შესახებ?
2. ვინ ჩაუყარა საფუძველი სიმფონიის ჟანრს ევროპაში?
3. ვის იცნობთ აზერბაიჯანელი კომპოზიტორებიდან, რომლებიც სიმფონიებს წერდნენ?
4. ვინ დაწერა სიმფონია „ნიზამი“?
5. როგორი ორკესტრი ასრულებს სიმფონიას?

დავალება

გამოთქვით აზრი სიმფონიის შესახებ.



კომპოზიტორი და ბალეტი



არიფ მელიქოვი

ბალეტი არის თეატრალური წარმოდგენა, რომელიც შედგება ცეკვებისა და რიტმული მოძრაობებისაგან, მუსიკალური თანხლებით.

ბალეტის დანიშნულებაა დრამატული სიტუაციების, პერსონაჟთა ხასიათების გამოხატვა და მაყურებელამდე მიტანა მუსიკის საშუალებით. ბალეტში ცეკვებთან ერთად გამოყენებულია პანტომიმაც.

პანტომიმა არის უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა, რომელშიც გრძნობები და აზრები გამოიხატება ჟესტებით, მიმიკით.

ბალეტის შექმნაში მონაწილეობს კომპოზიტორი, ლიბრეტოს ავტორი – ლიბრეტისტი, ბალეტმასტერი, წარმოდგენის დამდგმელი რეჟისორი. ბალეტში ცეკვები წარმოდგენილია სოლოს, ანსამბლის და ჯგუფური სახით. ჯგუფურ ცეკვებს

ასრულებს კორდებალეტი (ე. ი. ბალეტის მსახიობები,

რომლებიც ჯგუფურ ცეკვას ასრულებენ), ხოლო სოლო ცეკვებს – ბალეტის ცალკეული მსახიობები. პანტომიმური სცენები ამყარებენ კავშირს ცეკვებს შორის, რაც ხელს უწყობს წარმოდგენის უწყვეტ განვითარებას.

რუსეთში ბალეტის კლასიკური ნიმუშები შექმნეს პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკიმ და სერგეი პროკოფიევმა.

აზერბაიჯანში პირველი ბალეტი შექმნა გამოჩენილმა კომპოზიტორმა აფრასიაბ ბადალბეილიმ. ამ ბალეტს ჰქვია „გიზ გალასი“ („ქალწულის კოშკი“), ხოლო გენიალურმა კომპოზიტორმა ყარა ყარაევმა შექმნა ბალეტი „შვიდი მზეთუნახავი“ და „მეხის ბილიკით“.

რამდენიმე ბალეტის ავტორი იყო აზერბაიჯანის სახალხო არტისტი, მსოფლოში სახელმწიფო კომპოზიტორი არიფ მელიქოვი. მისი ბალეტი „ლეგენდა სიყვარულზე“ მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდა. ბალეტი შეიქმნა ცნობილი თურქი მწერლის, ნაზიმ ჰიქმეთის, ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით.



ნაზიმ ჰიქმეთი

მოვესმინოთ მუსიკას

„თურქი ქალების ცეკვა“ არიფ მელიქოვის ბალეტიდან „ლეგენდა სიყვარულზე“

„თურქი ქალების ცეკვა“ ენერგიული, რთული რიტმული ცეკვაა. ზომაა 9/8, ე. ი. ტაქტის შიგნით არის ცხრა მერვედი ბგერა.



„ადაჯილ“ ბალეტიდან „ლეგენდა სიყვარულზე“



„თურქი ქალების ცეკვა“ ბალეტიდან „ლეგენდა სიყვარულზე“

შევისწავლოთ სიმღერა

ƏSGƏR MARŞI (ჯარისკაცული მარში)

მუსიკა ჯავანშირ ყულიევისა
სიტყვები ალი კამინისა

I

Vətən məni yetişdirib
bu ellərə yolladı,
Bu torpağa qurban deyib,
Allaha ismarladı.
Boş oturma, çalış dedi,
xidmət elə Vətənə!
Südüm sənə halal olmaz,
sən baş əysən düşməne.

Nəqarət:

Marş, irəli, hey! Marş irəli!
Azərbaycan əsgəri!
Dönməz geri, hey, dönməz geri,
Azərbaycan əsgəri!

„ჯარისკაცული მარში“ სრულდება მარშის
ტემპში, ზომაა 2/4. სიმღერას მკაფიო რიტმი და
მარტივი მელოდია აქვს, რომელიც გწვდება
სულში.



მუსიკალური ლექსიკონი

ბანტოშიმა – მსახიობის თამაში უსიტყვოდ,
ქესტებისა და მიმიკების საშუალებით.

კითხვები

1. რა იცი ბალეტის შესახებ?
2. რომელი რუსი კომპოზიტორები არიან საუკეთესო ბალეტების ავტორები?
3. აზერბაიჯანელი კომპოზიტორებიდან ვინ მოღვაწეობდა ბალეტის ჟანრში?
4. ვინ არის ავტორი ბალეტისა „ლეგენდა სიყვარულზე“?

დავალება

გამოთქვი აბრი ბალეტის შესახებ.



კომპოზიტორი და ხალხური მუსიკა

ყველა ეროვნების კომპოზიტორი იყენებს თავის ნაწარმოებებში ეროვნული მუსიკის ნიმუშებს, როგორც საკუთარი, ისე სხვა ხალხის მუსიკას. აზერბაიჯანელი კომპოზიტორებიც თავიანთი ახალი ნაწარმოებებისათვის სარგებლობდნენ აზერბაიჯანული ხალხური სიმღერითა და ცეკვებით, აშულური მუსიკით, კლასიკური მულამებით. ფორტეპიანოსათვის, სიმფონიური ორკესტრისათვის დაწერილ ნაწარმოებებში ჩვენს კომპოზიტორებს უცვლელად შეჰქონდათ ხალხური მუსიკის მელოდიები. მაგალითად, უზეირ ჰაჯიბეილის უცვლელად აქვს შენარჩუნებული აზერბაიჯანული ხალხური სიმღერის «Çıxdı günəş» („მზე ამოვიდა“) მელოდია, რომელიც დაამუშვა შესავალი ნაწილისათვის საფორტეპიანო აკომპანიმენტად. სიმღერის შესავალი ნაწილი დასაწყისში მოდერატოს ტემპში სრულდება, ხოლო 9 ტაქტის შემდეგ – ალეგროს ტემპში მხოლოდ ფორტეპიანოზე. შემდეგ სიმღერის მელოდია აკომპანიმენტთან ერთად გრძელდება „andante grave“-ს ტემპში.

შევისწავლოთ სიმღერა

ÇIXDI GÜNƏŞ („მზე ამოვიდა“)


სანოტო ჩანაწერი უზეირ ჰაჯიბეილისა
სიტყვები მირზა ალექბერ საბირისა

Çıxdı günəş, doldu cahan nur ilə,
Cütçü sürür tarlada cüt şur ilə.

Cütçü batıb qan-tərə yer şumlayır,
Şumladığı tarlasını tumlayır.

Olsa da artıq nə qədər zəhməti,
İşləməyə var o qədər qeyrəti.

Çünki bilir rahat əziyyətdədir,
Şad yaşamaq səydə, qeyrətdədir.



შევისწავლოთ მუსიკა

აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „ლაჩინი“

„ლაჩინი“ ერთ-ერთი ძველი აზერბაიჯანული ხალხური სიმღერაა, რომელიც ემყარება კლასიკური მულამის, „ბაიათი-შირაზის“, ინტონაციებს, დაამუშავა ცნობილმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა სულეიმან ალესკეროვმა სიმფონიური ორკესტრისათვის და გამოიყენა თესნიფის სახით ამავე სახელწოდების სიმფონიურ მულამში. ხოლო კომპოზიტორმა ნაზიმ ალივერდიბეკოვმა ეს სიმღერა დაამუშავა ფორტეპიანოსათვის.

მოვუსმინოთ მუსიკას

ნაზიმ ალივერდიბეკოვის საფორტეპიანო პიესა „ლაჩინი“

საფორტეპიანო პიესაში „ლაჩინი“, რომელიც სრულდება სოლ მინორში, ზომით 3/4 და დამყარებულია მულამ „ბაიათი-შირაზის“ ინტონაციებზე, სიმღერის კუპლეტის მელოდია თავიდან სრულდება მარჯვენა ხელით, შემდეგ კი – მარცხენით. ხოლო სიმღერის მისამღერი ისევე, როგორც დასაწყისში, სრულდება მარჯვენით.

კომპოზიტორი თოფიკ ყულიევიც არ იყო გულგრილი ხალხური მუსიკისადმი. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 50-იან წლებში მან დაამუშავა ფორტეპიანოსათვის 15 აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა. ერთ-ერთი მათგანის სახელწოდებაა „დარჩინი“ („დარჩინი“).

შევისწავლოთ მუსიკა

თოფიკ ყულიევის საფორტეპიანო პიესა „დარჩინი“

ამ პიესაში კომპოზიტორმა უცვლელად შეინარჩუნა ხალხური ცეკვის მელოდია. აკომპანემენტი სრულდება მარცხენა ხელით.

უზეირ ჰაჯიბეილიმ თავის ოპერეტაში „ეს თუ არა, ის“ „რუსტამ ბეგისა და მოშადი იბადის დუეტში“ გამოიყენა მელოდია ხალხური ცეკვისა „დარჩინი“.



მცენარე დარჩინი

„რუსტამ ბეგისა და მოშადი იბადის დუეტი“ უზეირ ჰაჯიბეილის ოპერეტიდან „ეს თუ არა, ის“.



მუსიკალური ლექსიკონი

„ლაჩინი“ – აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა.
„დარჩინი“ – აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა.

კითხვები

1. რომელ აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერებს გავეცანი?
2. რომელი აზერბაიჯანული ხალხური ცეკვების მელოდიები მოვისმინეთ?
3. რომელი აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა დაამუშავა თოფიკ ყულიევი ფორტეპიანოსათვის?
4. რომელი აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა დაამუშავა ნაზიმ ალივერდიბეკოვმა ფორტეპიანოსათვის?

დავალბა

გამოთქვი აზრი ხალხური მუსიკის შესახებ.



გავლილი თემების გახსენება

1. მომზადება საკლასო კონცერტისათვის.
2. ათვისებული ტერმინების განმეორება.

მუსიკალური ლექსიკონი

ოდ – საზეიმო ლირიკული სიმღერა გუნდისათვის რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად

ორკესტრი – დიდი მუსიკალური კოლექტივი. არსებობს ორკესტრების სხვადასხვა სახე: სიმფონიური, სიმებიანი ინსტრუმენტების, სასულე და ა.შ.

პარტიტურა – მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი ორკესტრის, ანსამბლის, კვარტეტის, კვინტეტის და სხვ. მუსიკალური კოლექტივებისათვის

პაუზა – შესვენება მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას. არსებობს სხვადასხვა გრძლიობის პაუზები

პიანო – იტალიური სიტყვა, ნიშნავს „ნელა“

პრესტო – იტალიური სიტყვა, ნიშნავს „სწრაფად“

რეკვიამი – სამგლოვიარო ხასიათის მსხვილი ფორმის საგუნდო ნაწარმოები

რეჩიტატივი – დეკლამაცია ვოკალურ მუსიკაში

სიმფონია – დიდი მუსიკალური ნაწარმოები სიმფონიური ორკესტრისათვის. ძირითადად შედგება ოთხი ნაწილისაგან

სპერცო – იტალიური სიტყვა, ნიშნავს „ხუმრობას“. ხალისიანი მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ჩქარ ტემპში სრულდება

სოლისტი – მუსიკალური ნაწარმოების სოლო პარტიის შემსრულებელი

სონატა – კამერული მუსიკის ჟანრი

სონატინა – პატარა სონატა

ტერცეტი – სამკაციანი მუსიკალური ჯგუფი

ტოპატა – ვირტუოზული პიესა ფორტეპიანოსათვის ან ორგანოსათვის

ტრიო – იტალიური სიტყვა, ნიშნავს „სამს“. სამკაციანი მუსიკალური ჯგუფი

უვერტიურა – ფრანგული სიტყვა, ნიშნავს „გამხელას, წინასწარ შეტყობინებას“. მუსიკალური ნომერი ოპერის, ბალეტის, ორატორიის, დრამის და კინოფილმის დასაწყისში.

უნისონი – ერთი და იმავე სიმაღლის ორი ან რამდენიმე ტონის ერთდროული ჟღერა, რომელიც სრულდება სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე; ან სხვადასხვა ოქტავის ერთნაირი ბგერების ერთდროული ჟღერა

პალსი – სამეჯლისო ცეკვა, რომელიც წარმოიშვა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ჩვეულებრივ, ასრულებენ წყვილები. მუსიკალური ზომა $\frac{3}{4}$. მეცხრამეტე საუკუნეში დიდი პოპულარობა მოიპოვა ევროპაში

პიპაჩი – იტალიური სიტყვა, ნიშნავს „მოძრავად“, „ცოცხლად“. ტერმინი, რომელიც გამოიყენება მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ტემპის აღსანიშნავად

პირტუოზი – მაღალი ტექნიკური შესაძლებლობის მქონე გამორჩეული შემსრულებელი

პოპალიზმი – მომღერლის ხმისათვის განკუთვნილი უტექსტო სავარჯიშო ან ეტიუდი, რომელიც სრულდება მხოლოდ ხმოვანი ბგერების გამოცემით. ხელს უწყობს საშემსრულებლო ხმის ზოგად განვითარებას



შინაარსი

I ნაწილი. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკა

თემა 1. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ჟანრები.....	6
თემა 2. აზერბაიჯანული ხალხური სიმღერები.....	8
თემა 3. აზერბაიჯანული ხალხური ცეკვები.....	10
თემა 4. აზერბაიჯანული ხალხური ცეკვები.....	12
თემა 5. აზერბაიჯანული აშუღური მუსიკა.....	14
თემა 6. აზერბაიჯანული აშუღური მუსიკა.....	16
თემა 7. აზერბაიჯანული კლასიკური მუღამები.....	18
თემა 8-9. რიტმული მუღამები.....	20

II ნაწილი. აზერბაიჯანი და მსოფლიოს ხალხთა მუსიკა

თემა 10. ნიაზის სიმფონიური ნაწარმოები „კაითადი“ და კავკასიური ხალხური ცეკვა „ლეზგინკა“.....	24
თემა 11. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკა რუსი კომპოზიტორების შემოქმედებაში.....	26
თემა 12. არაბული ხალხური მუსიკა აზერბაიჯანული კომპოზიტორების შემოქმედებაში.....	28
თემა 13. შუა აზიის უდაბნოების ასახვა აზერბაიჯანული კომპოზიტორების შემოქმედებაში.....	30
თემა 14. აზერბაიჯანული კომპოზიტორი და ჩინური კილო (პენტატონიკა).....	32
თემა 15-16. მეტრული ზომა 6/8 და აღმოსავლური მუსიკა.....	34

III ნაწილი. არ არსებობს გადაულახავი საზღვარი მსოფლიოს ქვეყნების მუსიკალურ მემკვიდრეობას შორის

თემა 17. იოჰან სებასტიან ბახი და აზერბაიჯანული მუღამი „ბაიათი-შირაზი“.....	36
თემა 18. რუსი კომპოზიტორი დიმიტრი ბორისის ძე კაბალევესკი და იაპონური ხალხური სიმღერა.....	38
თემა 19. რუსი კომპოზიტორი ნიკოლაი ანდრეის ძე რიმსკი-კორსაკოვი და აღმოსავლური მუსიკა.....	40
თემა 20. მიხაილ ივანეს ძე გლინკა და ესპანური მუსიკა.....	42
თემა 21. ვალსი ევროპულ და აზერბაიჯანულ მუსიკაში.....	44
თემა 22. მარში ევროპულ და აზერბაიჯანულ მუსიკაში.....	46
თემა 23. ყარა ყარაევი და აფრიკელ ზანგთა მუსიკა.....	48
თემა 24. პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკი და მსოფლიოს ხალხთა მუსიკა.....	50
თემა 25. ნოვრუზის დღესასწაული და მუსიკა.....	52

IV ნაწილი. კომპოზიტორი, შემსრულებელი, მსმენელი

თემა 26. კომპოზიტორი და მუსიკა.....	56
თემა 27. კომპოზიტორი და სიმღერა.....	58
თემა 28. კომპოზიტორი და რომანსი.....	59
თემა 29. კომპოზიტორი და ოპერეტა.....	60
თემა 30. კომპოზიტორი და ოპერა.....	62
თემა 31. კომპოზიტორი და სიმფონია.....	64
თემა 32. კომპოზიტორი და ბალეტი.....	66
თემა 33. კომპოზიტორი და ხალხური მუსიკა.....	68
თემა 34. გავლელი თემების გამეორება.....	70



MUSİQİ

Ümumtəhsil məktəblərinin 4-cü sinfi üçün
«Musiqi» fənni üzrə dərslik
Gürcü dilində

Tərtibçi heyət:

Müəlliflər:

Oqtay Məmmədəğa oğlu Rəcəbov
Nazim Kazım oğlu Kazımov
Ofeliya Safa qızı İmanova

Tərcüməçi

«İNTELLEKTİ»

Bədii və texniki redaktoru

Abdulla Ələkbərov

Rəssamları

Nailə Zülfüqarova, Gündüz Ağayev

Dizaynerləri

Aqil Əmrahov, Təhmasib Mehdiyev

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin
04.07.2011-ci il tarixli 1197 №-li
əmrilə təsdiq edilmişdir.

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi - 2016

Kağız formatı 57x82 ¹/₈. Fiziki çap vərəqi 9,0. Səhifə sayı 72.

Uçot nəşr vərəqi 8,2. Sifariş 103. Tiraj 200. Pulsuz.

«Təhsil Nəşriyyat-Poliqrafiya» MMC-nin mətbəəsində çap olunmuşdur.
Bakı, AZ 1052, F.Xoyski küç., 121^B

PULSUZ